



# ახალი განათლება

www.akhaliganatleba.ge

facebook.com/Akhali Ganatleba

№27 (941) ბაზოლი 1998 წლიდან

30.09-06.10.2021



უწყებათაშორისო სახომიღონასიო საბჭოს ბანყვზახიღბით, 4 ოქტომბერიღან, მთელი ქვყენის მანშახბით, საჯახიო და ხეხიო სხოღბში, სნავღან სანღანსო ოთახბში ბანახღღბა.

- ყვღღა მონწავღღისთვღის აუციღღბელი ოქნეღა ზიხბადღის ტახეღბა.
- 4 ოქტომბერიღან ასევე აღღღბეღა სნავღან საჯახიო და ხეხიო ბაღღბში.
- მთელი ქვყენის მანშახბით, ზიოფენიულ ჟოღღეღბსა და უნივესიტიღბებს, უფღღბა ეღღღევათ, სნავღან დასნეღბულ ფოხიღბაღში - აუღღღტოხიღბში განახღღღონ; გაღღღანყვუტიღღბებს ჟოღღღეღბი და უნივესიტიღბები, თავიღღანთი უფღღბამოსიღღღებღბის ფახღღღებში, სამინიღღსტიღღოსთან შეთანწმეღბით მიიღღღებენ.
- მშომღღღებს ახიღღღვანის შესადღღღებღღბა ეღღღევათ - ღღსტიღღღანციღღი ფოხიღღბაღში სნავღღის გაღღღიღღღებღბის მსუღღღეღღღებღბა უღღღდა მიღღღახთონ სჟოღღის აღღღინიღღსტიღღღაცღღას და გაიღღღახონ ღღეღღისტიღღღაცღღას სნიღღ განათღღღებღბის მიღღღახთვის სანიღღღ-ფოხიღღბაცღღო სიღღსტიღღღმის მიღღღი შექმნიღღღ ვეღღღბეღღღებზე - [www.online.emis.ge](http://www.online.emis.ge).
- იმენიღღახციღღის ზიოციღღის გასაღღღეღღღებღღად სჟოღღის ღღიღღეღღსიღღებღბს მიღღღევათ ღღეღღომენღღღაცღღა, აწახიღღღომონ აღღღციღღბეღღა, ღღამღღენი ზეღღღაგოგოღღა აციღღღი, ასევე, ღღამღღენს აქვს გაღღღატანიღღღი ვიღღღესი, ბოღღო 6 თვიღღის განმავღღღბაღღში.
- ღღიღღეღღსიღღებღბა, ასევე, უღღდა შეიღღღეღღღამონ აუციღღელი თანამშღღღიმღღღებღბის ვაქციღღღანაციღღის გეღღბა.
- ამ ღღღონსათვიღღის, უღღთუღღეღღად მანწავღღღებღღებღბის 63%-ღა აციღღღი, ოღღეღღეღღად - 43%.

**#ანიტეზი**



პროფესიული განათლება

# წელს სვლილებები გვექონდა მიღების ერთიან სისტემაში, დაცენტრალიზაციის სასარგებლოდ

## ინტერვიუ თამარ ქიტიაშვილთან

– როგორი მომზადებული ხვდება პროფესიული განათლების სისტემა ახალ სასწავლო წელს და რა იყო წინა წლის ყველაზე მთავარი გამოწვევები პანდემიის პერიოდის განათლებაში, რომლის გათვალისწინებაც წელს აპირებთ?

– პირველ რიგში, დავინყებ უსაფრთხოების საკითხით – ჩვენ წინა წელსაც და პანდემიის დასაწყისისთანავეც, სწრაფად მოვახერხეთ მობილიზება ყველა კოლეჯში, რეგულაციების გათვალისწინებით. ხოლო, მას შემდეგ, რაც მთელ ქვეყანაში აქტიური ვაქცინაციის პროცესი დაიწყო, ზაფხულიდან, ჩვენც აქტიური კამპანია დავინყეთ. აგვისტოს განმავლობაში გვექონდა შეხვედრები საჯარო და კერძო კოლეჯების მასწავლებლებთან და პერსონალთან; მონვეული გვყავდა როგორც იმუნოლოგები, ასევე დაავადებათა კონტროლის ცენტრის წარმომადგენლები, იმართებოდა ინტენსიური საუბრები ვაქცინაციის საჭიროებაზე. საინფორმაციო კამპანიის შედეგად, ერთი თვის მანძილზე, ფაქტობრივად, გავაორმაგეთ შედეგი – 32%-ით დავინყეთ და ახლა უკვე მასწავლებლებისა და პერსონალის 65% ვაქცინირებულია. კამპანიას არ ვაჩერებთ, ახლა უკვე სტუდენტებთან დავინყეთ საინფორმაციო შეხვედრები. ჩვენი მიზანია, სტუდენტების ინფორმირებით, მათი აცრის მაჩვენებლებიც გავზარდოთ. უმნიშვნელოვანესია ვაქცინაციის აქტიურად წარმართვა. ეს აუცილებელიცაა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კოლეჯებში პრაქტიკული სწავლება წამყვანი კომპონენტია სასწავლო პროცესში. ჩვენი მიზანია, ვაქცინაციის 80%-ს მივაღწიოთ. მთავარი ინდიკატორი საერთო ინფიცირების მაჩვენებელია – თუ ეს მაჩვენებელი 4%-ზე ქვემოთ ჩამოვა, დიდი იმედი გვაქვს, რომ სრულად დაინწყებთ პირისპირ სწავლებას ან პირდაპირ სწავლებას, რაც გულსხმობს პრაქტიკული ნაწილის პირისპირ სწავლებას, ხოლო თეორიული ნაწილის ონლაინ წარმართვას.

– ქალბატონო თამარ, როგორ წარმართა წელს მიღების პროცესი, პანდემიით შექმნილი ვითარების ფონზე?

– ხაზი მინდა გავუსვა განსაკუთრებულ გამოწვევას, რომელიც სტუდენტების შერჩევის პროცესს უკავშირდება – წელს სიახლეები დავენერგეთ ამ მიმართულებით. ბუნებრივია, გავითვალისწინეთ ძალიან მოქნილი, ლიბერალიზებული კოვიდინფიცირებული და კარანტინში მყოფი აპლიკანტების მიმართ. ასეთი იყო მიდგომა შარშანაც და წელსაც ისარგებლეს აპლიკანტებმა ამ მექანიზმით, მაგრამ, გარდა ამისა, წელს მიღების ერთიან სისტემაში გვექონდა ცვლილებები, დეცენტრალიზაციის სასარგებლოდ. კერძოდ, ცენტრალიზებული ეროვნული გამოცდები მხოლოდ უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხი აპლიკანტებისთვის დავტოვეთ, დანარჩენებს შიდა შერჩევებში მოუწიათ მონაწილეობა, რომელიც ორგანიზებული იყო კოლეჯების მიერ, სამინისტროს მხარდაჭერით. ეს ძალიან საინტერესო პროცესი იყო. მესამე და მეოთხე დონის პროგრამებზე შერჩევის მთავარ კრიტერიუმად სტუდენტთა მოტივაცია განვსაზღვრეთ და არა მათი აკადემიური მოსწრება. შესაბამისად, აპლიკანტებს მოუწიათ სხვადასხვა მოტივაციურ გასაუბრებებში მონაწილეობა და შემთხვევების ანალიზში, ანუ ე.წ. ქეისების მეთოდით შერჩევაში ჩართვა; ასევე, სპეცტრუმებსა და პროფესიის მოსინჯვის ტურებში მონაწილეობა.

ეს იყო ძალიან საინტერესო პროცესი, კოლეჯებს რეალურად ჰქონდათ შეხება მომავალ სტუდენტებთან. აქამდე ეს დიდ პრობლემას წარმოადგენდა, რადგან შერჩევის პროცესში სტუდენტები ალგორითმის განაწილებით ხვდებოდნენ კოლეჯებში. ასეთი შერჩევისას კი, კოლეჯის წარმომადგენლები მომავალ სტუდენტებს ესაუბრებიან და გარკვეულ ორიენტაციას



აქამდე მივიდეთ. როგორც გითხარით, ეს ყველაფერი დაგეგმილი გვაქვს როგორც ბიუჯეტის თვალსაზრისით, ისე სისტემის ხელმისაწვდომობის კუთხითაც. რა თქმა უნდა, ამას ძალიან დიდი ძალისხმევა და ეტაპობრივი ინტერვენციები სჭირდება როგორც ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით (ახალი სივრცეების მოწყობა), ისე ხარისხის გაუმჯობესების კუთხითაც. მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსის მომზადება, იქნება ეს მასწავლებლები თუ კოლეჯების ადმინისტრაცია, ასევე, ახალი პროგრამებისა და კვალიფიკაციების გაჩენა და სისტემაში დანერგვა და ა.შ. შესაბამისად, პროცესი ძალიან დიდი გამოწვევებით სავსე იქნება, მაგრამ – აუცილებელი და უალტერნატივო.

აქვე გეტყვით ახალ ტენდენციებზეც – ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, რაც სისტემაში გვაქვს, კერძო სექტორის თანასწორი ჩართულობაა. წელს პირველად, აპრილში, დაფუძნდა ახალი სააგენტო – პროფესიული უნარების სააგენტო, რომელიც ახლა იკრებს ძალებს და იანვრიდან აქტიური ამუშავებისთვის ემზადება. მიმდინარეობს დაგეგმარება, კონცეპტუალიზაცია პერსონალის სრული ციკლით დაქირავების მიმართულებით. ეს გახლავთ კერძო სექტორისა და სახელმწიფოს თანამშრომლობის ინოვაციურ მოდელზე დაფუძნებული სტრუქტურა, რომლის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში 6 მინისტრის მოადგილეა, სხვადასხვა სამინისტროდან და ექვსი უმსხვილესი ბიზნეს გაერთიანების ხელმძღვანელი.

რეალურად, ეს უპრეცედენტო სიახლეა, პოსტსაბჭოთა სივრცეში მსგავსი გამოცდილება არ არსებობს. რაც მთავარია, გადამწყვეტილებას განათლების სამინისტრო მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად მიიღებს. აქვე დავძენ, რომ შარშან, მსოფლიო კონგრესზე, მოფლიოს ეკონომიკურმა ფორუმმა სწორედ ეს მოდელი აღიარა (თორმეტ ქვეყანას შორის) ერთ-ერთ ყველაზე ინოვაციურ მოდელად.

– კიდევ რა სიახლეებს უნდა ელოდოს პროფესიული განათლების სისტემა?

– სასაუბრო, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტია, თუმცა ვეცადე, ამ ინტერვიუში თითქმის ყველა საკვანძო საკითხი გამოემყო. დავამეტებ იმას, რომ ყველა მიმართულებით გაშლილია სამუშაოები – მასწავლებლების განვითარების, სამეცნიერო კულტურის დანერგვის, სოციალური სერვისების ხელშეწყობის და ა.შ. ასევე, წელს, გერმანიის საზოგადოების მხარდაჭერით, დანერგულია პროცესი კვალიფიკაციების შემუშავების ახალი მეთოდოლოგიის მიმართულებით; ასევე, ოქტომბრიდან იწყება მუშაობა პროფესიული განათლების დაფინანსების ახალ სისტემაზე.

- ✓ წელს ცენტრალიზებული ეროვნული გამოცდები მხოლოდ უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხი აპლიკანტებისთვის დავტოვეთ, დანარჩენებს შიდა შერჩევებში მოუწიათ მონაწილეობა.
- ✓ მესამე და მეოთხე დონის პროგრამებზე შერჩევის მთავარ კრიტერიუმად სტუდენტთა მოტივაცია განვსაზღვრეთ.
- ✓ შიდა შერჩევისას, კოლეჯის წარმომადგენლები მომავალ სტუდენტებს ესაუბრებიან და გარკვეულ ორიენტაციას აქლავენ. ცდილობენ, დაეხმარონ და დააკვირდნენ რებსაც აძლევენ. ცდილობენ, დაეხმარონ და დააკვირდნენ პროგრამის შერჩევასა და გადამწყვეტილების მიღებაში. რაც მთავარია, კოლეჯს შესაძლებლობა აქვს, დაადგინოს, რომელი აპლიკანტი უფრო მეტადაა მოტივირებული. სამსუხაროდ, ხშირად გვექონდა შემთხვევები, როცა აპლიკანტები უბრალოდ შეაყვებოდნენ განაცხადს და ტესტირების შედეგად ირიცხებოდნენ რომელიმე კოლეჯში და როცა სწავლა იწყებოდა, ორ კვირაში ანებებდნენ თავს. სწორედ ამ მიზეზით, გადინება გვექონდა ძალიან მაღალი. ახლა, პირადად კონტაქტი დამყარდა აპლიკანტსა და კოლეჯს შორს. მსგავსი მიდგომა კი, გამოიწვევს იმას, რომ ყველაზე მოტივირებულიები გახდებიან სტუდენტები და შემდგომში, პროფესიაში დარჩენისა და დასაქმების მაჩვენებელიც ბევრად მაღალი იქნება.

თეორიულ სწავლებას რაც შეეხება, აქ ძალიან დიდი გამოწვევა გვექონდა სტუდენტების მოწყობილობებთან თუ ინტერნეტთან წვდომასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, რომ კოლეჯები ძალიან მოქნილი და ინდივიდუალური მიდგომებს სთავაზობენ სტუდენტებს. გვაქვს შემთხვევები, როცა მათ მოწყობილობები გააქვთ კოლეჯებიდან და სარგებლობენ; ასევე გვაქვს შემთხვევები, როცა კოლეჯები უზრუნველყოფენ ინტერნეტის ჩართვას სტუდენტებისთვის. ამის გარდა, მათთვის მოწყობილია უსაფრთხო სივრცეები თავად კოლეჯებში, სადაც სტუდენტები მიდიან, რომ ონლაინ სწავლებაში ჩაერთონ, ასეთი მოდლობაც გვაქვს. მოკლედ, სისტემა საკმაოდ მოქნილია, ამ თვალსაზრისით. თითოეული მინიციპალიტეტის დონეზე, კარგად არის გააზრებული სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროება და კოლეჯი, ამ საჭიროებების გათვალისწინებით, ქმნის უსაფრთხო და შესაფერის სასწავლო გარემოს.

ასევე დანერგულია დამატებითი ინვენტარის შესყიდვა, რომ კიდევ მეტად გავზარდოთ სტუდენტების წვდომა სასწავლო პროცესზე როგორც დანესტუდენტებში, ისე მის გარეთაც. მობილიზებულია სხვადასხვა დონორული რესურსი, მათი მხარდაჭერით შევისყიდეთ დამატებითი აღჭურვილობები, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ჰიბრიდული სწავლება. ამისათვის ბევრი სხვადასხვა ინსტრუმენტი გამოვიყენეთ.

რაც ძალიან მნიშვნელოვანია, პანდემიის პერიოდში კიდევ უფრო დავგაახლოვე კერძო სექტორთან, რითაც ხელი შევწყვიტე რეალურ სამუშაო გარემოში სასწავლო პროცესის გადართვას. მოგეხსენებათ, დამსაქმებლებს თავიანთი დარგობრივი რეგულაციები აქვთ შემუშავებული, თუ როგორ შექმნან უსაფრთხო გარემო, სწორედ ამან გახდა შესაძლებელი სტუდენტების ჩართულობის ზრდა პრაქტიკულ ნაწილში.

რთულია, მარტივად და მოკლედ ჩამოვყავალიბო, რაც ამ პერიოდში შევქედილეთ და გავაკეთეთ, რადგან, როგორც აღვნიშნე, ძალიან მრავალფეროვანია ამ დიდი სექტორის სპეციფიკა, მით უფრო, რეგიონების სპეციფიკის გათვალისწინებით. თუმცა, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი მექანიზმების შესახებ მაინც მოგიყვით.

აქვე გეტყვით იმასაც, რომ სასწავლო გეგმებთან და მის გადართვასთან დაკავშირებული პირველადი გამოწვევა, რაც პანდემიის დასაწყისში გვექონდა, მეორე ჯერზე აღარ გვექონია, რადგან გასული სასწავლო წლის დასაწყისისთვის ეს შევეძლია.

– როგორია ზოგადი ტენდენცია – ბოლო დროს, გაიზარდა თუ არა ახალგაზრდების ინტერესი პროფესიული პროგრამებისადმი?

– წელს უპრეცედენტოდ ბევრი ადგილი გვექონდა გამოცხადებული, ასევე, გვყავდა უპრეცედენტოდ ბევრი აპლიკანტი, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, ერთი მხრივ, სისტემა-

- ✓ წელს უპრეცედენტოდ ბევრი აპლიკანტი გვყავდა, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს სისტემაში ხელმისაწვდომობის ზრდასა და პროფესიული პროგრამების მისაღებობით გაზრდილ ინტერესზე.
- ✓ გვაქვს ათწლიანი გეგმა, რომელიც სისტემაში ჩართული ადამიანების რაოდენობის ყოველწლიურ ზრდას გულისხმობს, საბოლოო ნიშნული 100 ათას ბენეფიციარამდე უნდა გაიზარდოს. ცხადია, აქ ჯამურად მოიაზრება როგორც პროფესიული, ისე მომზადება-გადამზადების პროგრამები. ახლანდელი მონაცემებით კი, ბენეფიციართა რაოდენობა, წელიწადში, დაახლოებით, 15 ათასია. წარმოდგინეთ, დინამიკაში, რა მასშტაბის ზრდა გვექონება, რომ

ში ხელმისაწვდომობის ზრდაზე და, მეორე მხრივ, პროფესიული პროგრამების მისაღებობით გაზრდილ ინტერესზე. აქედან გამომდინარე, შემიძლია გითხრათ, რომ ინტერესი რეალურად მზარდია. ჩვენ გვაქვს ათწლიანი გეგმა, რომელიც სისტემაში ჩართული ადამიანების რაოდენობის ყოველწლიურ ზრდას გულისხმობს, საბოლოო ნიშნული 100 ათას ბენეფიციარამდე უნდა გაიზარდოს. ცხადია, აქ ჯამურად მოიაზრება როგორც პროფესიული, ისე მომზადება-გადამზადების პროგრამები. ახლანდელი მონაცემებით კი, ბენეფიციართა რაოდენობა, წელიწადში, დაახლოებით, 15 ათასია. წარმოდგინეთ, დინამიკაში, რა მასშტაბის ზრდა გვექონება, რომ

რაც შეეხება პროფესიული განათლების დანერგულებების ავტორიზაციის ახალ სტანდარტს, რომელიც 2020 წელს დამტკიცდა, შემიძლია თამამად გითხრათ, რომ ძალიან წარმატებულად მიმდინარეობს. უკვე რამდენიმე კოლეჯში განვხორციელეთ საპილოტე პროექტები და ძალიან მიხარია, რომ კოლეჯებმა მხარი აუბნეს ამ სიახლეს. მართალია, სიახლეების დანერგვა ყოველთვის დიდ გამოწვევებთანაა დაკავშირებული, მაგრამ შეიძლება იქვას, იმაზე უკეთ წავიდა პროცესები და ნაკლებ მტკივნეულად, ვიდრე ამის მოლოდინი გვექონდა.



პროფესიული განათლება

# პროფესიულ განათლებას შესაძლებელი გახდა დისტანსიურ რეჟიმში სწავლის გაგრძელება

ვაზრდებთან კოლეჯების დირექტორებთან საუბარს, რომორ შიქლეს, გასულ სასწავლო წელს, სწავლების ონლაინ რეჟიმთან გახდა და ახალი სასწავლო წლისთვის იმ ხარვეზების გამოცდის რას შარხან ხელის შემხალი აღმორდა სკულფასოვანი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის.

ირაკლი ავალიანი  
კოლეჯ „იბერიას“ დირექტორი



მოდულურ პროგრამებს ოთხი ძირითადი მიმართულებით ვახორციელებთ: აგრარული მეცნიერებანი, კულტურის ხელოვნება, ბიზნესის ადმინისტრირება (სარესტორნო მომსახურება, ბუღალტრული აღრიცხვა, სასტუმრო მომსახურება, ინჟინერია (ინფორმაციის ტექნოლოგია, ელექტრობა, კომპიუტერული ქსელი და სისტემები), ხელოვნება (სამკერვალო წარმოება, თმის მომსახურება, ხის მხატვრული დამუშავება); ასევე, აგრარული მიმართულების დუალურ პროგრამას „მეხილეობა-მეჩაიეობა“, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას; კოლეჯში ხორციელდება პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები.

პანდემიის დასაწყისში, როდესაც პირბადეების საკმარისი რაოდენობა არ იყო ქვეყანაში, კოლეჯის სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტების სტუდენტებმა და მასწავლებლებმა პირბადეების კერვა დაიწყეს.

კოლეჯებს გვექონდა შემოთავაზება, გარკვეულ პროფესიებზე, დისტანციურ რეჟიმში გაგვეგრძელებინა სასწავლო პროცესი. რა თქმა უნდა, ეს სიახლე იყო ჩვენი სისტემისათვის, თუმცა, კოლეჯის ადმინისტრაციამ მოახერხა სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა. ისე, როგორც საჯარო სექტორში, პროფესიულ განათლებაშიც შესაძლებელი გახდა დისტანციურ რეჟიმში ხარისხიანად გაგრძელებულიყო სასწავლო პროცესი ისეთ საგანმანათლებლო პროგრამებზე, როგორცაა: ინფორმაციის ტექნოლოგია, კომპიუტერული ქსელები და სისტემები, ბუღალტრული აღრიცხვა, სარესტორნო მომსახურება. რაც შეეხება პრაქტიკულ სწავლებას პროგრამებზე: სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, თმის სტილისტი, ელექტრონიკა, კულინარიის ხელოვნება, სასწავლო პროცესი დროებით შეჩერდა, რადგან დისტანციურ ფორმატში სწავლის გაგრძელება ვერ უზრუნველყოფდა სტუდენტების ხარისხიან სწავლებას, თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ მათ მიეცათ საშუალება, რომ დაესრულებინათ სასწავლო კურსი.

ამჟამად კოლეჯი ემზადება ახალი, 2021 წლის მიღების შედეგად ჩარიცხული, სამასამდე სტუდენტის შესახვედრად.

სასწავლო წლის დაწყება დაეგეგმილია მიმდინარე წლის 8 ნოემბერს. ვუსურვებ მათ სრულფასოვან სტუდენტურ ცხოვრებას, პროფესიულ წარმატებებს და კარიერულ წინსვლას.

ლაშა ხახუტაიშვილი  
კოლეჯ „ახალი ტალის“ დირექტორი



ჩვენი კოლეჯი მრავალპროფილურია, სწავლება ხორციელდება ტურიზმის, სამშენებლო, აგრარული, სამედიცინო და ხელოვნების მიმართულებით. ამჟამად 40-მდე მოდულურ, 5 დუალურ, 3 ინტეგრირებულ და 20 პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამას ვახორციელებთ. კოლეჯი ავტორიზებულია 1200-მდე პროფესიულ სტუდენტზე. გვაქვს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ადაპტირებული გარემო შშმ პირებისათვის, სტანდარტებზე მორგებული თანამედროვე კლას-ლაბორატორიები.

პროფესიულ განათლებაში პანდემიამ გაცილებით მეტი პრობლემები შექმნა, ვიდრე განათლების სხვა მიმართულებებში, რადგან პროფესიული განათლება მთლიანად დამოკიდებულია სწავლების პრაქტიკულ ნაწილზე, ამიტომ, თეორიული ნაწილი გადავიდა დისტანციურ სწავლებაზე, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი დავტოვეთ რეალურ სამუშაო გარემოში, სპეციალისტების ნაწილი პარტნიორ კომპანიებში ვავითრებთ და პანდემიის ყველა რეგულაციის დაცვით ვახორციელებთ სწავლებას, ამიტომ ზოგიერთ პროგრამაზე სასწავლო პროცესი გახანგრძლივდა, მაგრამ არ შეჩერებულა.

რაც შეეხება ახალ სასწავლო წელს, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს (პანდემიის გამო) კოლეჯისადმი ინტერესი გაორმაგდა, ყველა მიმართულებასა და პროგრამაში დიდი კონკურსია – რეგისტრაცია გამოცხადდა 616 პროფესიულ სტუდენტზე და დარეგისტრირდა 1296 აპლიკანტი. წელს პირველად, აპლიკანტების შერჩევა ზეპირი გასაუბრებით მიმდინარეობდა კოლეჯში, პარტნიორ ორგანიზაციებისა და ბიზნესის წარმომადგენლების ჩართულობით.

ფიქტობ, ეს არის მოდელი, რომელიც, თითქმის, გამოირცხავს კოლეჯში სასწავლებლად „შემთხვევით“ მოხვედრას, რაც არც თუ იშვიათად მთავრდებოდა ხოლმე სასწავლებლის მიტოვებით. გასაუბრების მიზანია, გავარკვიოთ აპლიკანტის მოტივაცია, მისი წარმოდგენები არჩეულ პროფესიებზე, კომუნიკაციური უნარ-ჩვევები. რიგ შემთხვევაში, აპლიკანტები რჩევებსაც ისმენდნენ კომისიის წევრების მხრიდან. როგორც გითხარით, კონკურსი დიდი იყო და ახლა შედეგებს გამოცდების ეროვნული ცენტრიდან ველოდებით.

მომზადდა ანა ფირსხლაიშვილმა

პროფესიული განათლება

## მასწავლებლის სახლის განმარტებები „პრაქტიკოსი“ მასწავლებლის სტატუსთან დაკავშირებით



საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, გთავაზობთ დამატებით განმარტებებს „პრაქტიკოსი“ მასწავლებლების სტატუსთან დაკავშირებით:

„მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილების თანახმად, თუ პრაქტიკოსი მასწავლებელი, 2020 წლის 30 იანვრის მდგომარეობით, ვერ აიმაღლებდა სტატუსს (ვერ დააგროვებდა 19 კრედიტულას) გაუუქმდებოდა „პრაქტიკოსი მასწავლებლის“ სტატუსი და სკოლა ვალდებული იყო, შეენიჭებინა მასთან ხელშეკრულება. 2015 წლიდან დღემდე, პრაქტიკოს მასწავლებლებს არაერთხელ ჰქონდათ წინსვლის შესაძლებლობა.

„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №68 დადგენილების შესაბამისად, 2015 წლის იანვრის მდგომარეობით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულ პირებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ უფროსი ან ნამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად განსაზღვრულ პირობებს, მიენიჭათ პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი და განესაზღვრათ, მაქსიმუმ, ოთხნობიანი (3 წელი + 1 პილოტირების წელი) ვადა შემდგომი სტატუსის მოსაპოვებლად. სტატუსის მოსაპოვებლად, სხვა აქტივობებთან ერთად, პრაქტიკოს მასწავლებლებს ჰქონდათ ვალდებულება, ჩაებარებინათ საგნის გამოცდა (გადაეღაბათ 60%-იანი ზღვარი).

✓ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 იანვრის №35 დადგენილებით, შეიცვალა სტატუსის მინიჭების გზები. კერძოდ, მათ მიეცათ საშუალება, ნაწილობრივ დაედასტურებინათ საგნობრივი და პროფესიული უნარების კომპეტენცია 1, 4, 7 ან 10 კრედიტულაზე (იხ. ცხრილი, რომელშიც მოცემულია საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დასადასტურებელი მაქსიმალური ქულის შესაბამისობა კრედიტულებთან).

ამ ცვლილების მიხედვით, მასწავლებლებს კომპეტენცია დადასტურებულად ეთვლებოდა, თუ ტესტური დავალების მაქსიმალური ქულის 30%-ს მაინც გადააღახავდა (მაგ. თუ გამოცდის მაქსიმალური ქულა იყო 80, პრაქტიკოს მასწავლებელს კომპეტენცია დადასტურებულად ჩაეთვლებოდა მინიმალური 24 ქულის მოპოვების შემთხვევაშიც კი და მოიპოვებდა 1 კრედიტულას) და საჭირო 19 კრედიტულას შეეგებდა სხვა აქტივობებით. მასწავლებლების მიერ განხორციელებული აქტივობები (საგნობრივი და პროფესიული უნარების კომპეტენციის დადასტურების გარდა) ფასდებოდა და მათ კრედიტულები ენიჭებოდათ სკოლის შეფასების ჯგუფის მიერ.

საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დასადასტურებელი ტესტის მაქსიმალური ქულის %	კრედიტულა
60-დან ზემოთ	10
50-დან 60-მდე	7
40-დან 50-მდე	4
30-დან 40-მდე	1

✓ პრაქტიკოს მასწავლებელთა მაქსიმალური ხელშეწყობის მიზნით, 2019 წელს, მასწავლებლის საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციის დადასტურების გამოცდა ჩატარდა 2-ჯერ – ზაფხულში და შემოდგომაზე (წინა წლებში ერთხელ ტარდებოდა). ასევე, მათ 2-2-ჯერ მიეცათ შესაძლებლობა, აქტივობით და გამოექვეყნებინათ სკოლის ბაზაზე განხორციელებული აქტივობები, ხოლო სკოლის შეფასების ჯგუფებს ჰქონდათ საშუალება, მიენიჭებინათ კრედიტულები და წარედგინათ წინადადება კონკრეტული მასწავლებლისთვის სტატუსის მინიჭების შესახებ.

✓ 2020 წელს კვლავ განხორციელდა ცვლილება მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში, რომლის მიხედვითაც, იმ მასწავლებლებს, რომლებიც, 2020 წლის 30 იანვრის მდგომარეობით, იყვნენ პრაქტი-

კოსი მასწავლებლები და 2020 წლის 30 აპრილმდე დარეგისტრირდნენ გამოცდაზე საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციის დასადასტურებლად, მიეცათ შესაძლებლობა, კვლავ ნაწილობრივ დაედასტურებინათ კომპეტენცია (1, 4, 7, 10 კრედიტზე), გამოცდაზე უკეთესი შედეგის მიღების (დაიშვა პრეცედენტი, შეენარჩუნებინათ წინა წლებში მიღებული უკეთესი შედეგები) და 5-კრედიტიანი ტრენინგის წარმატებით გავლის გზით შეევსოთ 19 კრედიტულა და შეეცვალოთ სტატუსი.

იმ მასწავლებლებისთვის, რომლებიც, 2020 წლის 30 იანვრის მდგომარეობით, იყვნენ პრაქტიკოსი მასწავლებლები და არ მიეცათ 2020 წლის ზაფხულში გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა (არსებული პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე), 2021 წლის ზაფხულში, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების გამოცდები ჩატარდა პანდემიურ გარემოში, რამაც გაახანგრძლივა გამოცდის პერიოდი და საბოლოო შედეგების გამოცხადება. მთავრობის დადგენილებაში (სქემაში) კვლავ შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, იმ მასწავლებლებს, რომლებიც, 2020 წლის 30 იანვრის მდგომარეობით, იყვნენ პრაქტიკოსი მასწავლებლები, დარეგისტრირებულნი იყვნენ გამოცდაზე და ზემოაღნიშნული გზით ვერ შეძლეს 19 კრედიტულის მოპოვება, შეუწყდათ სტატუსი, თუმცა საშუალება მიეცათ, საქმიანობა გაეგრძელებინათ 2021-2022 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ბოლომდე.

✓ 2015 წელს, პირველადი გადანაწილებით, სისტემაში 45354 პრაქტიკოსი მასწავლებელი იყო, რომლებსაც, წლების განმავლობაში, არაერთხელ ჰქონდათ სტატუსის ცვლილების შესაძლებლობა. ამ ეტაპზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ქართულ სექტორზე, დასაქმებულია 4000-მდე მასწავლებელი, რომლებიც, 2020 წლის 30 იანვრის მდგომარეობით, იყვნენ პრაქტიკოსი მასწავლებლები და 2020 წლის 30 აპრილამდე დარეგისტრირდნენ გამოცდაზე საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციის დასადასტურებლად, 1 კრედიტზეც კი ვერ შეძლეს პროფესიული და/ან საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება.



რეაქციის პროგრამა

# ნუ დაველოდებით ინსტრუქციებს!

## სამყარო ქვემოდან წამოსულმა ინიციატივებმა უნდა შეცვალოს უკეთესობისკენ, მათ შორის, სკოლებიც

კვლევებით დადასტურდა, რომ ონლაინ სწავლების პერიოდმა საკმაოდ სერიოზული სასწავლო დანაკარგები გამოიწვია. მიუხედავად მასწავლებლების მხრიდან მოსწავლეთა ჩამორჩენის აღმოფხვრის მცდელობა და რა აქტივობებს სთავაზობენ სასწავლო დანაკარგების ასანაზღაურებლად – ამის შესახებ სპეციალური ჩვენნი რეკომენდაციები



### ინა ზინაძე

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზარის საჯარო სკოლის დირექტორი

პანდემიამ დიდი პრობლემების წინაშე დაგვადგინა, რის შედეგადაც მიღებული დანაკარგები, სიცოცხლის დამარცხებით გამოწვეული ტრადიციის შემდეგ, ყველაზე მტკივნეულად განათლების სექტორზე აისახება. 2020 წლის გაზაფხულზე, მოულოდნელად, სრულ დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა დიდი გამოწვევა იყო, ქვეყნის მასშტაბით, ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის. განსაკუთრებით კი მაღალმთიანი სოფლის სკოლისთვის, სადაც მოსწავლეთა დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველი ოჯახებიდანაა.

სკოლა, ამ პერიოდისთვის, ჩართული იყო პროგრამა „ახალი სკოლის მოდელი“ და მხარდაჭერი ჯგუფი – ექსპერტები, კურიკულუმის დანერგვის, ტექნოლოგიებისა და ლიდერობის მიმართულებებით, აქტიურად მუშაობდნენ სკოლაში, რამაც განაპირობა გარკვეული მზაობა დისტანციური სწავლებისთვის. შედეგად უკვე იცნობდნენ Microsoft Office 365-ის პროგრამებს, ყველა მოსწავლესა და მასწავლებელს უკვე გააქტიურებული ჰქონდა საკუთარი ანგარიში თიშის პლატფორმის გამოსაყენებლად. მასწავლებელთა უმრავლესობა ფლობდა ტექნიკასთან მუშაობის საბაზისო უნარებს, თუმცა ეს არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ იმავ ხარისხის გაკვეთილი ჩატარებინათ, როგორც საკლასო ოთახში – პირისპირ სწავლებისას. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს აისახა მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებზე.

ჩემს გუნდთან ერთად, შევიმუშავე კრიზისიდან გამოსვლის გეგმა, სადაც გათვალისწინებული იყო, პირველ რიგში, უსაფრთხო გარემოს შექმნა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა. განსაკუთრებით გააქტიურდა მოსწავლეთა ტექნოლოგიების კლუბი „მომავლის ციფრული თაობა“, რომელსაც ექსპერტი ნინო ჭიპაშვილი უკურატორობდა. ამ დროისათვის, კლუბში, მოსწავლეებთან ერთად, მასწავლებლები და მშობლებიც კი განვერიანდნენ. კლუბის მიზანი სწორედ იმ გამოწვევების დაძლევა იყო, რომლის წინაშეც დავდექით. კლუბის წევრები, საჭიროებიდან გამომდინარე, წერდნენ ვიდეოინსტრუქციებს და ავრცელებდნენ სასკოლო თემში. ხშირ შემთხვევაში, მოსწავლეები ეხმარებოდნენ მასწავლებლებს ტექნიკურ საკითხებში.

კრიზისის დაძლევის გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მშობლების ჩართულობას სასკოლო ცხოვრების ყოველდღიურობაში. შეიძლება ითქვას, რომ მათთან კომუნიკაცია ასეთი აქტიური არასოდეს ყოფილა. მათი აქტიური ჩართულობით, შევიმუშავეთ მათთან კომუნიკაციის ერთნაირი გეგმა, რომელიც ძალიან გვეხმარება სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებული მიზნების მიღწევაში. როდესაც სკოლაში, პირისპირ, მშობელთა მცირე ჯგუფებთან შეხვედრების შესაძლებლობა მოგვეცა, ჩვენი მუშაობა უფრო პროდუქტიული გახდა.

დისტანციური სწავლების პერიოდი, მიუხედავად დიდი სირთულეებისა, ახალი შესაძლებლობების აღმოჩენისა და განვითარების ეტაპიც იყო ჩვენს სასკოლო ცხოვრებაში. შევძელით მოსწავლეთათვის შეგვეთავაზებინა საკლუბო მუშაობა რამდენიმე მიმართულებით. ბევრი საინტერესო ელექტრონული რესურსი შეიქმნა ჩვენი პედაგოგებისა და მოსწავლეების მიერ ლიტერატურული, სამოქალაქო განათლების, ტექნოლოგიების, პროგრამირება-ინჟინერიისა თუ ეკოკლუბის მიერ. სწრაფად მოვახერხეთ მიმდინარე სასკოლო პროექტების აქტივობების მოდიფიცირება ონლაინ მუშაობისთვის. ამას ემატებოდა მოსწავლეთა ჩართულობა ქვეყნის მასშტაბით გააქტიურებულ საგანმანათლებლო ონლაინ პროექტებსა თუ სემინარებში, რამაც მათ მნიშვნელოვანი უნარები და ცოდნა შესძინა.

მიუხედავად იმისა, რომ მცდელობა არ დავაკვირებ, რემედიაციის პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ კონკრეტულ საგნებში, ზოგიერთ მოსწავლესთან აკადემიური შედეგები რეგრესიასაკენ წავიდა. ზოგიერთი საგნის მასწავლებელმა ვერ შეძლო პროგრამით გათვალისწინებული საკითხების სრულყოფილად გავლა. ამ მხრივ, საინტერესოა ჩვენი სკოლის ფიზიკის მასწავლებლის, ელზა ხარაძის დახმარებით, მოგვსესხებოდა, რამდენად რთულია ამ საგანში მაღალი მოტივაციის შექმნა მოსწავლეთათვის, მით უმეტეს – დისტანციურად. სასწავლო დანაკარგების აღმოსაფხვრელად, მან აქტიურად გამოიყენა დისტანციური კლუბური მუშაობა, არაერთი მიმართულებით. თიშის პლატფორმაზე შექმნა ჯგუფები e Twinning-ის პროგრამაში, ფიზიკის კლუბსა და ეკოკლუბში სამუშაოდ. კლუბურ მუშაობაში იყენებდა მრავალფეროვან ინტერნეტ რესურსებს. ვინაიდან დროში შეზღუდული არ იყო, მოსწავლეებს თავისუფლად შეეძლოთ შეესრულებინათ

მრავალფეროვანი სავარჯიშოები, აქტივობები. ფიზიკის კლუბში, ძირითადად, მუშაობდა პროგრამირებასა და ვირტუალური სქემების აწყობაზე, სადაც შესაძლებლობა ჰქონდა, საინტერესოდ და სახალისოდ აეხსნა ფიზიკის საკითხები. ძალიან დაეხმარა პროფესორ დავით სონულაშვილის მიერ შექმნილი რეალურ-ვირტუალური ლაბორატორია, რომელიც დისტანციური სწავლებისას ნამდვილად არაჩვეულებრივი რესურსია.

რაც შეეხება მოსწავლეებს, რომლებიც ვერ ახერხებდნენ დისტანციურ სწავლებაში სრულფასოვან ჩართვას, სკოლაში მისვლის შემდეგ, რემედიაციის პროგრამით, სასწავლო დანაკარგების აღმოფხვრის მიზნით, გაკვეთილების შემდეგ, მათთან დამატებით მუშაობდა, მოუხდა სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და შესასწავლი საკითხების ისეთი აქტივობებით გავლა, როგორცაა დეკოდირება, გააზრებული კითხვის ტექნიკები; მუშაობდა ამოცანების ამოხსნაზე რეალურ-ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენებით, ატარებდა სადემონსტრაციო ცდებს. მოსწავლეებთან, არდადეგების პერიოდში, დამატებით იმუშავეს მათემატიკის, ქიმია-ბიოლოგიისა და დაწყებითი კლასების პედაგოგებმაც, რისთვისაც სკოლის დირექცია საჯაროდ უცხადებს მათ მადლობას.

გამოწვევების დაძლევაში ძალიან დაგვეხმარა „ახალი სკოლის მოდელი“. კომპლექსური დაგეგმვები შევიტანეთ როგორც დაწყებით და საბაზო, ისე საშუალო საფეხურზე. ჯერ კიდევ ზაფხულში შევიმუშავეთ 2021-2022 სასწავლო წლის კურიკულუმი ყველა საგნობრივი მიმართულებით, განვსაზღვრეთ არაფორმალური განათლების პრიორიტეტები. დავწერეთ პროექტის გეგმა – „სანერგე მეურნეობის მოწყობა სოფელ ნიგვზარის საჯარო სკოლის ტერიტორიაზე“, რომელიც 2021-2022 სასწავლო წელს „ახალი სკოლის მოდელი“ ფარგლებში განხორციელდება.

გასულ სასწავლო წელს, ჩვენ მიერ ნარმატივით განხორციელებული პროექტი „ჰაერის სეზონური დაბინძურება სოფლად, ძალზე მნიშვნელოვანი იყო სასკოლო საზოგადოებისთვის.

ჩემი გამოცდილებით, მინდა ყველას ვუთხრა: არ არსებობს გამოვლენილი სიტუაცია, პოზიტიური თანამშრომლობითა და გუნდურობით ყველა პრობლემა დაძლევა, ოღონდ ეს სასკოლო თემის ყველა რგოლმა უნდა გააცნობიეროს და ძალიან მოინდომოს. განათლების სისტემაში დასაქმებული ადამიანის პასუხისმგებლობა დანაშაულია მომავალი თაობის წინაშე. საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზარის საჯარო სკოლაში მომავალს ყოველთვის იმედინად უყურებენ, რადგან ვისწავლეთ როგორ ვაქციოთ გამოწვევები და საფრთხეები ახალ შესაძლებლობებად!

### მარიტა ზოტიაშვილი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ძმების საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი

პანდემიის პერიოდში, დისტანციური სწავლების მიღმა დარჩენის მიზეზები სხვადასხვაა, თუმცა უმეტესად ტექნოლოგიისა და ინტერნეტის არქონა სახელდება. სამწუხაროდ, ინტერნეტის მონაღებ სოფელში ხარისხიანად ვერ ხერხდება და არც ინტერნეტ პაკეტების შეძენა ხელმისაწვდომი. საბუნებრივოდ, შარშან, მთელი წელი, გვქონდა პირისპირ სწავლების შესაძლებლობა, რაც თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალურად მუშაობის საშუალებას მძლევდა.

ონლაინ სწავლებისას იყო შემთხვევები, როცა ინტერნეტის ან სათანადო ტექნიკის არქონის გამო, დისტანციურად, სასწავლო პროცესში ვერ ერთვებოდა მოსწავლე და მას ტელეფონით ვუკავშირდებოდით. სატელეფონო სწავლება პირველ კლასში, რა თქმა უნდა, არ იყო ეფექტური, რადგან ანბანს ვუხსნიდი და ბავშვებს ძალიან უჭირდათ გაგება. თუმცა გამიმართლა, რადგან მშობლები მეხმარებოდნენ და გარკვეულ შედეგზეც გავიდით. მაღალი კლასის მოსწავლეებთან, რომლებმაც კითხვა იცოდნენ, ვცდილობდი მობილური დაკავშირებას, რათა მათ მუდმივად ჰქონოდათ სასწავლო პროცესში ჩართულობის განცდა. თუმცა, სატელეფონო სწავლებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო ისევე, როგორც ონლაინ სწავლებამ. ბავშვები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ დისტანციურ სწავლებაში, როცა საკლასო ოთახებში დაუბრუნდნენ, აღმოჩნდა, რომ ვაცილებით უფრო წინ იყვნენ და უფრო მეტი იცოდნენ ინგლისურ ენაში, ვიდრე იმ ბავშვებმა, რომლებსაც მხოლოდ ტელეფონით ვუკავშირდებოდით.

ჩვენს სკოლაში, სულ 14 მოსწავლე სწავლობს, რაც ინდივიდუალური მუშაობის შესაძლებლობას იძლევა. ამიტომ, დისტანციური სწავლების მიღმა დარჩენილი მოსწავლეებისთვის, შევიმუშავე ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და გაკვეთილის შემდეგ, დამატებით, ვეხმარებოდი და ვუხსნიდი მოსწავლეს. ამ პროცესში მშობლებიც იყვნენ ჩართულნი. სკოლაც დამეხმარა,

რათა დამატებითი რესურსები მიგვეწოდებინა მოსწავლეებისთვის, ბეჭდური სახით. სახლში აქტიურად მუშაობდნენ და ასრულებდნენ დაავლებებს. ამ მოსწავლეებმა, სამ თვეში, შეძლეს აკადემიური ჩამორჩენის დაძლევა.

ძირითადად, ჩამორჩენა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით და სოფელში ინტერნეტის არარსებობით იყო გამოწვეული და დაძლევა თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა. მოსწავლეები და მასწავლებლები მობილურ ინტერნეტზე არიან დამოკიდებულინი, 2021 წლის იანვრამდე ინტერნეტ პაკეტები საკმაოდ ძვირი იყო. იანვარში, 5 თვით, ამოქმედდა შეღავათიანი ფასი დისტანციური სწავლებისთვის. თუმცა, სოფელში მაცხოვრებელი მშობლებისთვის, რომელმაც პანდემიის გამო სამსახური დაკარგა ან ანაზღაურება შეუძლია, შვილის სათანადო ტექნოლოგიებითა და ინტერნეტით აღჭურვა, საკმაოდ რთული გამოწვევაა.

ჩვენი სკოლა მცირეკონტინგენტისა და 2020-2021 სასწავლო წლის განმავლობაში, მთლიანი სასკოლო საზოგადოება აქტიურად ვცდილობდით, პრევენციული ზომები მიგველოკოვინათ წინააღმდეგ და მაქსიმალური სიფრთხილით ვიცავდით დაწესებულ რეგულაციებს. შედეგად ნაყოფიერი აღმოჩნდა – მთელი სასწავლო წელი სწავლა საკლასო ოთახებში მიმდინარეობდა, უსაფრთხო გარემოში.

დანაკლისი განსაკუთრებით შესამჩნევი იყო დაწყებით კლასებში. როდესაც ბავშვი წერა-კითხვას სწავლობს, მისთვის აუცილებელია მასწავლებლის დახმარება, კლასელებთან ინტერაქცია და დასწავლის მეთოდების გაზიარება. ვფიქრობ, როგორც დისტანციურ სწავლებაში ჩართული, ასევე დისტანციური სწავლების მიღმა დარჩენილი მოსწავლეებისთვის, თამაშის, აზრთა გაცვლის და სოციალური ინტერაქციის არარსებობა იყო კიდევ ერთი დანაკლისი.

აკადემიური ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად, ვფიქრობ, საჭიროა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, გენბავთ, რემედიაციის პროგრამა, მაგრამ არ უნდა დავგვიწყნებო ბავშვის მხრიდან სოციალიზაციის და თანატოლებთან ინტერაქციის მოთხოვნილება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ უნდა გამოიყოს და არ უნდა განასხვავოს ბავშვი სხვებისგან. ეს უნდა მოხდეს მის ინტერესზე ფოკუსირებით, მაქსიმალურად დიპლომატიურად და სახალისო მეთოდებით. ბავშვი ჩართული უნდა იყოს მიმდინარე სასწავლო პროცესშიც.

მოსწავლეებისთვის, რომლებიც დისტანციური სწავლების მიღმა აღმოჩნდნენ 2020 წლის მარტიდან ივნისამდე, იმავე წლის სექტემბრიდან, შევიმუშავე ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სასკოლო საზოგადოებასთან შეთანხმებით და პარამონიული მოქმედებით. თუმცა, მოსწავლე ჩართული იყო მიმდინარე სასწავლო პროცესშიც. ვცდილობდი, დატვირთვა მაქსიმალურად მსუშუქი ყოფილიყო. გარდა ამისა, პანდემიით გამოწვეული იზოლაციის გამო, შევექმენი სახალისო ანიმაციების საზაფხულო ბანაკი, ასევე ფილმების კლუბი, სახალისო ინგლისურის და სამოქალაქო განათლების კლუბები, რომელთა ფარგლებშიც ჩემი სკოლის მოსწავლეები დაუკავშირებ თანატოლებს სხვადასხვა სკოლებიდან, მათ შორის ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან. კლუბების შექმნისას, არაფორმალური განათლების მიზნებთან ერთად, დიდი სურვილი მქონდა, ბავშვებს სხვა სკოლის მოსწავლეებთან დამეგობრების შესაძლებლობა ჰქონოდათ.

ვცდილობ, კლასგარეშე აქტივობა მაქსიმალურად იყოს მოსწავლის ინტერესების მიხედვით დაგეგმილი. ორკვირიანი საზაფხულო ბანაკი, ანიმაციების კლუბიც ბავშვების ინტერესების მიხედვით დაიგეგმა. ჩემს მთავარ მიზანს წარმოადგენდა ბავშვების სოციალიზაცია, აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ინტერაქცია. 3-5-წუთიანი ანიმაციების ნახვის შემდეგ, ისინი აფიქსირებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს და გამოხატავდნენ ემოციებს. ანიმაციების თემები იყო: მოგზაურობა, სახალისო შემთხვევითობები, მეგობრობა, ცხოველების სიყვარული, სიკეთე და ა.შ. ანიმაციების ბანაკში მონაწილეობდნენ ბავშვები საქართველოს ყველა კუთხიდან. პროექტი საკმაოდ სახალისო აღმოჩნდა და პანდემიით გაუფერულებული დღეები გაამრავალფეროვნა.

ფიქრობ, თიშის პროგრამაში, მოსწავლეთა კი არა, მასწავლებელთა ჩართულობაც პრობლემაა, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. საკმაოდ ხშირად მიმდინარეობს პროგრამული ცვლილებები, ორი ნელია ყოველდღე იცვლება თიშის ფუნქციები, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს გამართულ და ხარისხიან მუშაობას. გარდა ამისა, თიშის მოთხოვნებს ვერ უმკლავდება ვერც მოსწავლეთა ბუჯი და ვერც სხვა სუსტი მონაცემების მქონე მონაცემობა, რადგან საჭიროა მაღალი სიმბირის ინტერნეტი, გამართული, ძლიერი მონაცემობა, სათანადო შემთხვევაში – ძლიერი სმარტფონი. თუმცა, შეიძლება ტექნოლოგიებით კბილებამდე შეიარაღებულიც „გაიჭედოთ“ თიშში, რადგან პროგრამის ტეტი ხშირად ამატებენ ახალ ფუნქციონალს, რაც სისტემას, მინიმუმ, ორი საათით „ყინავს“. ამიტომ, ვცდილობ, კლასგარეშე ონლაინ აქტივობები ზუმის გამოყენებით დავგეგმო.

### ჯა მამანიშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

პანდემიამ მთელი სამყარო თავდაყირა დააყენა, ეს ყველა სფეროს შეეხო, მათ შორის – განათლებასაც. სასწავლო პროცესის მოულოდნელად და სრული დატვირთვით დისტანციურ რეჟიმზე გადასვლას ბევრი სირთულე მოჰყვა... უმთავრესია მოს-



რეაქტივისტების პროგრამა

წავლევების აკადემიური ჩამორჩენა, რომელიც თითქმის ყველა სკოლის „აქტივისტების ქუსლია“... ეს პრობლემა დისტანციურ სწავლებაზე გადასვლისთანავე კარგად გავიარებთ... მოსწავლეთა კონტინენტი რომ შეგვენარჩუნებინა და ფიზიკურად გადავრჩენილიყავით, დაინციეთ ზრუნვა დამატებითი ინდივიდუალური პროგრამების დანერგვასა და ფექტური მეთოდების გამოყენებაზე. სკოლა მდინარეკონტინენტისა (148 მოსწავლე გვეყავს), კლასებში, საშუალოდ, 12-14 მოსწავლეა, რაც პრობლემის მოგვარებას აადვილებს.

ჩვენს სკოლაში მოსწავლეთა გარკვეული ნაწილის ჩამორჩენა, ზოგადად, განპირობებულია ტექნიკურმა პრობლემებმა – ინტერნეტის ხარვეზი, ციფრული ტექნოლოგიების არქონა, ზოგ შემთხვევაში კი, მოსწავლეებისა და მათი მშობლების მიერ კომპიუტერული ტექნოლოგიების ნაკლებად ფლობის უნარმაც.

პანდემიის პერიოდში დისტანციური სწავლებისას ჩამორჩენა, ძირითადად, შეიმჩნეოდა სწავლების დაწყებით საფეხურზე, უფრო მეტად უცხო ენასა (ინგლისური, რუსული) და მათემატიკაში. ჩამორჩენის უმთავრესი მიზეზი იყო დისტანციურ გაკვეთილებზე მოსწავლეთა ერთი ნაწილის არასტაბილური დასწრება, ვაცდენები...

გასულ სასწავლო წელს, პირველ კლასში ორი მოსწავლე გვყავდა, მეორე კლასში ასეთივე პრობლემა ერთ მოსწავლესთან გვექონდა, მესამე კლასში – 3 მოსწავლესთან. ბავშვებს განსაკუთრებით მათემატიკა და უცხო ენა გაუჭირდათ. აკადემიური ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად, დაინციეთ ინდივიდუალური პროგრამების გამოყენება და ვფიქრობთ, მსგავსი ტიპის მეთოდი ძალზე ეფექტურია ზემოაღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. დისტანციური სწავლის პერიოდში, ტელეფონით (დარეკვით) და Zoom-ის პროგრამის გამოყენებით, უკავშირდებოდნენ მოსწავლეებს აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს და მათთან ინდივიდუალურად მუშაობდნენ, ხოლო როცა ჩვენს რაიონში ეპიდსიტუაცია გაუმჯობესდა, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ (2020 და 2021 წლების ივნისის მეორე ნახევარში, ზოგჯერ – ივლისის პირველ ნახევარამდე და ახალი სასწავლო წლის დაწყებამდეც, 25 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე) მათემატიკის პედაგოგები – ხათუნა კლდიაშვილი და ინგა გაბრიჭიძე, ინგლისურის პედაგოგი ნანა სვანიძე ინდივიდუალური პროგრამებით მუშაობდნენ და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს.

ინდივიდუალური მიდგომები გვაქვს, ასევე, სკოლაში ახლად გადმოსული მოსწავლეების მიმართ, თუკი დიაგნოსტიკური ტესტირებისას, რომელიმე მათგანს ამის საჭიროება აქვს. არ გაგვჭირვებია რემედიაციის პროგრამის გამოყენებაც, რადგან

სკოლას, დაარსებიდანვე, ერთ-ერთ პრიორიტეტად ყოველთვის მიაჩნდა ინდივიდუალური მუშაობა აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან. ალბათ, ამიტომაცაა, რომ დისტანციური სწავლების პირობებშიც კი სკოლას აქვს მიღწევები.

თამარ სუაშვილი

მარნეულის №2 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მენტორი მასწავლებელი

არაერთმა კვლევამ ცხადჰყო, რომ პანდემიის შემდეგ გვაქვს სერიოზული სასწავლო დანაკარგები. ჩამორჩენა არა მხოლოდ პროგრამული ხასიათისაა, არამედ მკვეთრად გამოიხატა სოციალიზაციისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევების დაქვეითებაც. სწორედ ამიტომ, ქალაქ მარნეულის №2 საჯარო სკოლის ბაზაზე, ზაფხულში, მოვანყვეთ ორკვირიანი ინტენსიური საზაფხულო სკოლა, სახელწოდებით – „საოცნებო სკოლა“, სადაც თავი მოუყარეთ 50-მდე მოსწავლეს. საზაფხულო სკოლის მონაწილე ბავშვების ნაწილი, გასულ სასწავლო წელს, ახერხებდა ონლაინ სწავლებაში ჩართვას, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ვერ ახერხებდნენ. ამ შემთხვევაში, ჩვენ არ ვიყავით ფოკუსირებული მაინცდამაინც იმაზე, ერთვებოდნენ თუ არა ისინი სასწავლო პორცესში. მით უმეტეს, ძალიან ცოტა მოსწავლემ ვერ შეძლო ონლაინ გაკვეთილებში ჩართვა.

ამის გარდა, საზაფხულო სკოლაში, დამატებით, მარნეულის კიდევ სამი სკოლის მოსწავლეებს მივეცით შესაძლებლობა, გამხდარიყვნენ ორკვირიანი „სკოლის“ მონაწილეები. შერეული ჯგუფი გამოვიყვანეთ ეთნიკური თვალსაზრისითაც, ჩვენი ბენეფიციარები იყვნენ ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი მოსწავლეები. მიზანი იყო, როგორმე დაგვეძლია პრობლემები, რომელიც ონლაინ სწავლებამ არაფორმალური განათლების მიმართულებით შექმნა. ჩვენი სკოლის პედაგოგების გარდა, გვყავდნენ მონაწილე სტუმრები, რომლებიც ძალიან სიღრმისეულ ტრენინგებს ატარებდნენ შერჩეულ თემატიკებზე, მაგალითად, გენდერის, მეორადი ნივთებისგან ხელნაკეთი ნივთების დამზადება, ასევე, ლიდერობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და ა.შ. ამ საზაფხულო სკოლის მენეჯერი მე ვიყავი და ჩაერთო სასკოლო საზოგადოება – სკოლის მასწავლებლები ბავშვებს სემინარებს უტარებდნენ, ოღონდ ეს იყო ხანგრძლივი სემინარები და ასწავლიდნენ მათ ესეს წერის კულტურას, კრიტიკული აზრის გამოხატვას, მსჯელობას. რამდენიმე სემინარი პროექტის წერის მიმართულებასაც დაეთმო. ძალიან საინტერესო აქტივობებს ვთავაზობდით მოსწავლეებს, მაგალითად, კრეატიული ვიდეოების გადაღების ხელოვნება – როგორ შეიძლება რამდენიმე ადამიან-

მა საინტერესო ვიდეო გადაიღოს. რეალურად, საზაფხულო სკოლაში მთავარი აქცენტი გადავიტანეთ არა პროგრამულ ჩამორჩენაზე, არამედ იმ საჭიროებებზე, რომელიც ამ ჩამორჩენამ გამოკვეთა. ხელი შევუწყვეთ მოსწავლეთა რესოციალიზაციას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საზაფხულო სკოლა პირისპირ ფორმატში წარმართა, ცხადია, ყველა რეგულაციის დაცვით. ამით შევცდით, შეგვემცირებინა ის გაუცხოება, რომელიც ბავშვებში დისტანციურმა სწავლებამ გააჩინა.

50 ბავშვი დავყავით ჯგუფებად, ერთ ჯგუფს ლიდერობის სესია უტარდებოდა, მეორეს ესეს წერის ტექნიკას ასწავლიდნენ და ა.შ. შემდეგ მასწავლებელი ჯგუფებს ცვლიდა და აგრძელებდა სემინარს მათთვის სასურველ თემატიკაზე. იმდენად დიდი იყო ინტერესი, რომ დღის 9 საათზე მოსულ ბავშვს 6 საათზეც აღარ უნდოდა სახლში წასვლა. რაც მთავარია, ეს ყველაფერი მოხალისეობრივ დონეზე განხორციელდა, ჩვენი შიდა რესურსებით.

ორკვირიანმა პროექტმა, 50 მოსწავლეს, თითქოს, ხელახალი სუნთქვა შთაბერა, ეს იგრძნობოდა მათ შეფასებებსა და დამოკიდებულებაშიც. ჩვენი უცხოელი სტუმრები გაოცებული იყვნენ, ასეთ სიტყვებში როგორ ახერხებენ ასეთი მოტივაციის შენარჩუნებასო.

საზგასმით მინდა ვთქვა, რომ სკოლა არ არის მხოლოდ პროგრამული მასალის შესასწავლი ადგილი, მხოლოდ სტანდარტული საგაკვეთილო სივრცე, სკოლა ასევე არის ადგილი, სადაც ბავშვების სოციალიზაცია ხდება, სადაც სწავლობენ ცხოვრებისთვის საჭირო და აუცილებელ უნარ-ჩვევებს. რეალურად, ჩვენ მათ ხომ მომავალი ცხოვრებისთვის ვამზადებთ, ამიტომ არის აუცილებელი, ფორმალურ განათლებასთან ერთად, არაფორმალური განათლების ელემენტებიც შევთავაზოთ. პანდემიის პერიოდში ამის განსაკუთრებული აუცილებლობა გამოიკვეთა. ბუნებრივია, საგანმანათლებლო დანაკარგების აღმოფხვრას ხელს შეუწყობთ. თუ მოსწავლემ რომელიმე კონტინენტი კარგად ვერ შეისწავლა, ეს არ არის ტრაგედია, მომავალში აუცილებლად მოახერხებს შესწავლას, მაგრამ, თუკი მას დააკლდა სითბო, სიყვარული, ადმიანებთან ურთიერთობები და მოხდა მისი გაუცხოება, ამის გამოსწორებას წლები დასჭირდება.

რაც მთავარია, მინდა კოლეგებს ვუთხრა, რომ ჩვენი, მასწავლებლები, არ უნდა დაველოდოთ ინსტრუქციას – ზემოდან ქვემოთ ბრძანებას. ვფიქრობ, საამყარო ქვემოთ ნამოსულმა ინიციატივებმა უნდა შეცვალოს უკეთესობისკენ, მათ შორის, სკოლებიც.

მომზადდა მაკა ყიფინაძე

უმაღლესი განათლება

რეაქტივისტები ონლაინ სწავლების პრობლემებსა და უპირატესობებზე

ლალი ხვედელიძე

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, კანცლერი



ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში სწავლა 4 ოქტომბერს დაიწყო. სწავლის დაწყებას ელექტრონულ ფორმატში ვგებ-მათ, ამიტომ, მთელი ჩვენი რესურსი სწორედ დისტანციური სწავლების ხარისხის გაზრდასკენ მივმართეთ. დაიხვეწა და შეივსო სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, არსებულ ბაზას დაემატა სასწავლო მასალა – ნივთები, რიდეტები, დაიხვეწა და გამარტივდა სტუდენტთა ელექტრონული რეგისტრაციის სისტემა.

სტუდენტური სერვისების გაუმჯობესების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ისიც, რომ შევქმენით სატელეფონო აპლიკაცია, რომლის მეშვეობითაც, ბნსუ-ს სტუ-

დენტები მარტივად და სწრაფად უკავშირდებიან უნივერსიტეტის მართვის ელექტრონულ პორტალს.

ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს სტუდენტთა ყოველკვირეულ ონლაინ ანკეტირებას აცრასთან დაკავშირებით და ვინაიდან მონაცემები სასურველზე დაბალია, ამ ეტაპზე, მართებულად მიგვაჩნია სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში განხორციელება.

რაც შეეხება განათლების ხარისხს, ვცდილობთ შევინარჩუნოთ და არ დავნოთ მაღალი თამასა, რომელიც საზღვაო განათლებაში იმთავითვე განსაზღვრულია. ჩვენთვის ყველაზე მტიკონეულია სასწავლო პროცესის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების საკითხი. მოგვხსენებთ, საზღვაო განათლება, თეორიული სწავლების პარალელურად, მოიაზრებს რეალურ წვრთნებს სიმულატორებსა და სასწავლო გემზე, აგრეთვე საოკეანო-საცურაო პრაქტიკას, რომელთა დისტანციურ რეჟიმში განხორციელებაც პრაქტიკულად შეუძლებელია.

გასული სასწავლო წლის გამოცდილებით, ახლაც შევეცდებით, ისე დავგვემოთ თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კომპონენტების ურთიერთმიმართება, რომ სტუდენტთათვის მაქსიმალურად უსაფრთხო გახდეს სრულყოფილი განათლების მიღება.

სწავლების ხარისხის შენარჩუნება და მუდმივი ზრდა ჩვე-

ნი, როგორც საგანმანათლებლო ინსტიტუციის, ძირითადი სტრატეგიაა. ამ დროისათვის არსებული გამოცდილება ცხადყოფს, რომ დისტანციური სწავლებისას შესაძლებელია ხარისხის მაღალი სტანდარტების მიღწევა იმ დათქმით, რომ პროცესში ყველა მხარე სრულფასოვნად იქნება ჩართული.

გასული წელი საკმაოდ რთული იყო, თუმცა მან დაგვანახა, რომ შეუძლებელი არაფერია. სწორედ გასულ წელს, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტმა დაიმატა ორი ახალი ინგლისურენოვანი პროგრამა, რაც საშუალებას გვაძლევს, გავაფართოოთ ჩვენი უნივერსიტეტის დისტანციური სწავლების არეალი და მასში, ქართველებთან ერთად, უცხოელი სტუდენტებიც ჩაერთოთ.

პანდემიით განპირობებული სასწავლო პირობები გამონვევა, რომელიც გვაიძულებს, ავითვისოთ ახალი ტექნოლოგიები, დავერგოთ ინოვაციური მიდგომები და ამასთან, შევინარჩუნოთ საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობა.

მინდა საქართველოს ყველა უნივერსიტეტს ვუსურვო წარმატებული და ნაყოფიერი სასწავლო წელი, მიუხედავად სწავლების მოდელისა და ფორმატისა. იმედს ვიტოვებ, რომ სტუდენტების აუდიტორიებში დაბრუნებამდე, შევძლებთ ყველაფერი გავაკეთოთ განათლების ხარისხის შენარჩუნებისათვის.

მაშუა თავხალიძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი



უნივერსიტეტში ორგანიზაციული, მათ შორის, უსაფრთხოების საკითხები მოგვარებულია, ვემზადებით ყველა მოსალოდნელი სიტუაციისთვის. ვინცებთ სწავლას ონლაინ ფორმატით, მთავრობის დადგენილების შესაბამისად, თუმცა მზად ვართ ჰიბრიდული სწავლებისთვისაც, ყველა აუდიტორია თუ პრაქტიკულ-ლაბორატორიული სივრცე მზად არის და, ასევე, ელის სტუდენტებს. განვაახლეთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შევიძინეთ ახალი სატელევიზიო და რადიო ტექნიკა. გავამრავალფეროვნეთ მედიაციის სიმულაციური ცენტრი, გავამდიდრეთ კრიმინალისტიკის ლაბორატორია. გარდა ამისა, პანდემიის მიუხედავად, გავაღრმავეთ საერთაშორისო ინტეგრაცია, დამატებით გავფორმდა პარტნიორული ხელშეკრულებები ევროპის ნამყვან უნივერსიტეტებთან... ასე რომ, მზად ვართ სასწავლო პროცესის განსახორციელებლად როგორც ონლაინ, ისე ჰიბრიდული და პირისპირ ფორმატით.

გასულ წელს მართლაც იყო სტუდენტთა ერთი ნაწილი, რომელიც დაუინტერესოებოდა პირისპირ ფორმატით სწავლის გაგრძელებას. დიდი დრო დავგვიტოვებდა მათ საპირისპიროში დასარწმუნებლად, თუმცა, უნდა ითქვას, რომ იყვნენ სტუდენტები (შეიძლება უფრო მეტიც), რომლებიც, ასევე, კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ რეალურ სივრცეში სწავლას. არგუმენტად მათ ადამიანთა მობილობის მაღალი დონე მოჰყავდათ, რაშიც ძნელია, შეედავო. ამ ორი აზრის გათვალისწინებით, უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ჰიბრიდული სასწავლო პროცესის წარმართვის შესახებ, ანუ თეორიული მეცადინეობები ტარდებოდა დისტანციურად, ხოლო პრაქტიკული მუშაობა – პირისპირ ფორმატში.

რაც შეეხება განათლების ხარისხის შეღავათს – ვერ დავეთანხმები ამ მოსაზრების ავტორებს. ერთ-ერთი სტუდენტის სიტყვებს მოვიტან: „...ვისაც სწავლა გვინდა, ასეც ვისწავლით და ისეც, ლექტორი როგორც გვასწავლიდა, ისე გვასწავლის ახლაც...“. დიახ, პირისპირ ფორმატით სწავლების დროსაც იყვნენ დაბალი მოსწავლეთა სტუდენტები და ონლაინ ფორმატით სწავლებისასაც არიან. „სიზარმაცე“ არ ცნობს ონლაინ და არა ონლაინ სწავლის ფორმას, ის ყოველთვის თანახმაა და ახლავს სასწავლო პროცესს. პრობლემა სხვა რამეა, რაც საკომუნიკაციო დეფიციტმა წარმოიშვა. ადამიანი სოციალური არსებაა და მას სოციალური ურთიერთობის გარეშე გარკვეული ფსიქოლოგიური დისკომფორტი ექმნება – მით უფრო ახალგაზრდას. კარგად მესმის მათი.

სხვა კუთხით შევხედოთ ამ მოვლენას. დამეთანხმებით, რომ

მომზადდა მაკა ყიფინაძე



მშობლივი დისტანციური სწავლების შესახებ

# კასიური ბავშვები ძალიან ირებრიბიან

სასწავლო წელი საქართველოს სკოლებში ისევ დისტანციურ რეჟიმში დაიწყო, რასაც, გუნება-რიპია, აზრით სხვადასხვა მოჰყვა – საზოგადოების ნაწილი ითხოვს სკოლების გახსნას, ნაწილი ფრთხილად და დისტანციურ რეჟიმში სწავლას აპროპონებს. თუმცა, ორივე მხარე საუბრობს გამოწვევებზე, რომელიც პანდემიის პერიოდის განათლებას, უკვე ორი წელია, თან ახლავს. ონლაინ სწავლებით შექმნილ სირთულეებზე განსაკუთრებით მშობლები საუბრობენ, რომლებსაც შვილებთან ერთად უნებურად მათთან გააქვამება და მთელი, მათი როლი ისეთივე მნიშვნელოვანი გახდა სასწავლო პროცესში, როგორც მასწავლებლის, განსაკუთრებით, დაწყებითი საფეხურისა და სხვა მოსწავლეთა მშობლების. შეიძლება ითქვას, მშობლებმა უნებურად შეიქმნა, ყოველდღიურ რეჟიმში, სასწავლო პროცესის უზუალო მონაწილეა. როგორია მათი თვალთვალის დისტანციური გაკვეთილები და რა გამოსავალს ხედავენ შექმნილი ვითარებიდან – ამ თემაზე რამდენიმე მშობელს ვითხოვეთ კომენტარი.

**მელანო მატარაძე** ➔ პირველ რიგში, ძალიან ვწუხვარ და თანაუგრძობ მშობლებს, რომელთა შვილებიც კოვიდ ინფიცირებულები არიან და კლინიკაში იმყოფებიან, ყველას ვუსურვებ მალე გამოჯანმრთელებას. თუმცა, ეს არგუმენტი არ გამოდგება იმისთვის, რომ სკოლები დაიხუროს. უპირობოდ იმის მომხრე ვარ, რომ სწავლა საკლასო ოთახებში გაგრძელდეს და თუ რატომ, ამას ბევრი მიზეზი აქვს. ჩემზე ფრთხილი დედა არ მეგულება, მაგრამ არ მინდა, ჩემი შვილი რობოტი გაიზარდოს, მინდა ადამიანური ურთიერთობებით იცხოვროს და არა ეკრანთან მიჯაჭვულ უემოციო ადამიანად ჩამოყალიბდეს. აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, რომ ბავშვისთვის, ამ ასაკში, თანატოლებთან ურთიერთობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

არა – ონლაინ სწავლას, არა იმიტომ, რომ ბავშვი სრულფასოვან განათლებას ვერ მიიღებს, თუმცა, ესეც შეიძლება იყოს ვინმესთვის უკმაყოფილების მიზეზი (ჩვენს სკოლაში მართლა იდეალურადაა ყველაფერი, დისტანციური გაკვეთილების მიმართულებით) იმიტომ, რომ ვერ მიიღებს მთავარს – ურთიერთობებს თავისი კარგი და ცუდით და ეს ჩემთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე 10-იანები. სამწუხაროდ, ჩვენმა სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ბავშვების უსაფრთხოდ სკოლებში დაბრუნება, უმეტესმა ქვეყნებმა კი, ეს შეძლეს. სხვათა შორის, ევროპის ქვეყნების და ამერიკის მოსახლეობის ნახევარიც არაა აცრილი, მაგრამ ყველგან დაიწყო სწავლა სკოლებში, რადგან მათ უსაფრთხო სასწავლო გარემო შექმნეს.

რაც შეეხება, ზოგადად, ონლაინ სწავლების ხარვეზებს, შეიძლება ხარვეზად ჩათვალოთ დღეში შვიდი გაკვეთილის ჩატარება. ჩემს შვილს მხედველობის პრობლემა აქვს და ძალიან რთულია, დღის ცხრა საათიდან ოთხის ხუთამდე, ეკრანთან ჯდომა, 5 და 10-წუთიანი შესვენებებით.

და კიდევ ერთს დავამატებ, თუ რესტორნებში, გასართობ ცენტრებსა და სხვა უამრავ ადგილებში „არ გადადის კორონა“ და არაა საშიში, მაინცდამაინც სკოლები და უნივერსიტეტები წარმოადგენს საფრთხეს? სკოლების დახურვა ყველაზე ბოლოს უნდა განიხილებოდეს. ის კი ვიცი, თუ სწავლა უნდა ბავშვს, ყველანაირ ფორმატში შეძლებს ამას, მაგრამ დიდი სხვაობაა ეკრანს მიღმა მჯდომი მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილსა და პირისპირ კლასში ჩატარებულ გაკვეთილებს შორის. სამწუხაროდ, ეს პროცესები აუცილებლად ცუდად აისახება მომავალი თაობის განათლებაზე. გახსენით სკოლები!

**მაია ბონუა** ➔ დისტანციურ სწავლებას, რა თქმა უნდა, ახლავს პრობლემები. ჩემი თვალთვალის დანახული პრობლემების ჩამორთავალი კი საკმაოდ გრძელია:

1. ბუქებს არა აქვს საკმარისი ტექნიკური რესურსი იმისთვის, რომ უხარვეზოდ ჩართონ თიშის მითინგზე – იჭედება, შეუძლებელია მიკროფონის დროულად ჩართვა-გამორთვა, ხშირად შვედება ეკრანი, ადგებს გაკვეთილიდან და ა.შ.;
2. ცოცხალი კონტაქტის გარეშე ბავშვს არა აქვს გაკვეთილზე ყოფნის განცდა და ხშირად ეფანტება გონება, ვერ უსმენს ყურადღებით, „გახალტურების“ მეტი საშუალება აქვს და იყენებს ამ საშუალებებს (თიშავს კამერას, მიკროფონს, ინტერნეტს და ა.შ.);
3. მუდმივად საჭიროა გვერდით უფროსი, რომელიც შეასრულებს იმ ფუნქციას, რასაც სკოლაში მასწავლებელი ასრულებს: ბავშვმა რომ არ ილაპარაკოს, უსმინოს მასწავლებელს, არ ადგეს, არ გავიდეს გაკვეთილიდან და ა.შ. და როდესაც მშობელი თვითონ მუშაობს, ეს გაუკონტროლებელი რჩება;
4. როდესაც ოჯახში 2, 3 და მეტი სკოლის მოსწავლეა, არ არის საკმარისი ოთახები, რომ ყველამ იზოლირებულად შეძლოს გაკვეთილზე დასწრება და ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ. ასევე, საჭიროა მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ კავშირი, რომ „გაუძლოს“ ერთდროულად ბევრი ბავშვის ონლაინ ჩართვებს. მე პირადად მხოლოდ მობილური ინტერნეტი მაქვს და მინევს რამდენიმე ტელეფონზე ინტერნეტ პაკეტების ყიდვა, რომ ბავშვებმა გაკვეთილებზე დასწრება შეძლონ, რაც საკმაოდ დიდი ხარჯია;
5. დავალებების მოგროვება და გაგზავნა დამატებითი დატვირთვა მშობლისთვის. ზოგი მასწავლებელი თიშის დავალებების სექციაში დებს დავალებას, ზოგი – პირდაპირ ჯგუფის სექციაში, ზოგი – ფეისბუქჯგუფში. გადავივიარე აპლიკაციიდან აპლიკაციაში, ჯგუფიდან ჯგუფში, რომ ყველა ბავშვის დავალება ვიპოვო, ვისი სადაა გაფანტული. თან ზოგი მასწავლებელი ადრე დებს, ზოგი გვიან და მთელი დღე ამ დავალებებს დავსდევთ მშობლები. ბოლოს ერთმანეთთან ვარკვეთ, რაიმე დავალება ხომ არ გამოგვრჩა. დაბოლოს უკვე შესრულებულ დავალებებს უნდა გადავუღოთ ფოტოები და ავტვირთოთ, ზოგი – თიშში, ზოგი – მესინჯერში და ა.შ.;
6. რაც შეეხება თვითონ გაკვეთილის პროცესს: გაკვეთილი ნახევარი საათი გრძელდება, აქედან, მინიმუმ, 5-10 წუთი (ზოგ-

ჯერ უფრო მეტი) ტექნიკურ საკითხებზე იკარგება (ყველა შემოვიდა? ვილაცას მითინგის ლინკი არა აქვს, ვერ ხედავს, მასწავლებელს უწევს ბავშვების სათითაოდ მონვევა და ა.შ.) საბოლოოდ, როცა ტექნიკური საკითხები მოგვარდება და ჯგუფი შეიკრიბება, გაკვეთილის დასრულებამდე 20 წუთია დარჩენილი. ამ 20 წუთში, ფაქტობრივად, ბავშვების გამოკითხვა ვერ ხერხდება და მასწავლებელი პირდაპირ ახალი მასალის ახსნას იწყებს, რომ დროში ჩაეტიოს. ბავშვებს აქვთ გარანტია, რომ გაკვეთილს მაინც არავინ გამოკითხავს და შესაბამისად, მოტივაცია არ აქვთ, რომ გაკვეთილი ისწავლონ. არ გვულისხმობ იშვიათ გამოწვევებს, ვინც ხალისით სწავლობს;

7. ერთი დიდი პრობლემა კიდევ ისაა, რომ დღეში, 6-7 სრულფასოვანი გაკვეთილის ნაცვლად, უტარდებათ სამი 20-20 წუთიანი გაკვეთილი (ვიცი, რომ ნახევარსაათიანია, მაგრამ წინა პუნქტის გათვალისწინებით ვერ 20 წუთს). საინტერესოა, ან პროგრამა როგორ უნდა მოასწრონ, ან საერთოდ რა უნდა ისწავლონ ამ პირობებში? კვირაში ერთხელ რომ ექნება ფიზიკა და გეოგრაფია, კვირაში ორჯერ – მათემატიკა, ორჯერ – ქართული... მივიღებთ ტოტალურად გაუნათლებელ 1, 2 და 100 ბავშვს კი არა, მთელ თაობას.

ამის გარდა, პრობლემა ფანჯრები გაკვეთილებს შორის, მაგალითად, ხანდახან ერთი გაკვეთილი რომ 9 საათზე აქვს, მეორე – პირველზე და მესამე – 3-ზე. ამ ქაოსში, ხშირად დაგვიწყნებია რომელიმე გაკვეთილზე შესვლა. ბავშვს რომ 2 საათი აქვს, გარბის სათამაშოდ, მეერ უკან გაკვეთილებზე მიბრუნებას დამატებითი ძალისხმევა სჭირდება და ა.შ.

დანებებით კლასებში მაქვს ასეთი პრობლემა: ძალიან რთულია მასწავლებელმა მოშორებულად და ინტერნეტით აკონტროლოს ბავშვების აქტიურობა, ზედმეტად აქტიური ბავშვები გააჩუმოს და პასიურები წინ წამოსწიოს. რამდენჯერაც არ უნდა გამოუერთოს მიკროფონი, მაინც რთვენ და გაკვეთილზე სულ 4-5 ბავშვის ხმა ისმის. ანუ დროის დიდი ნაწილი იხარჯება შენიშვნებში: „გამორთეთ მიკროფონი“, „ვისაც ვეკითხები, მხოლოდ იმან მიპასუხო“, „ყველა ერთად ნუ ლაპარაკობ“. აქტიური ბავშვების გაჩუმება დისტანციურად შეუძლებელია, მაინც ყვირიან და ამაში ძალიან ბევრი დრო იკარგება. ცოტა პასიური ბავშვები ძალიან იჩაგრებიან. დისტანციის დამყარება კლასში უფრო ადვილია, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან ეს პრობლემა არსებობს, ზოგ კლასში, შეიძლება, სხვანაირი ბავშვები არიან და სხვა სიტუაციაა.

**ნინო ომანაძე** ➔ მესამე სასწავლო წელს შევხვდით ონლაინ რეჟიმში და კიდევ მეტად ხელშეხახები და ამოსაცნობი გახდა ამ მეთოდით სწავლების ხარვეზები. დღის მთელი დღეა დიდ ორი უმნიშვნელოვანესი საკითხის შედარება – ჯანმრთელობა თუ სწავლების სასკოლო სივრცეში აღდგენა? დღეს მე ვირჩევ მეორეს და იცით, რატომ? ჯანმრთელობის პრობლემა ონლაინ სწავლების პირობებშიც გარდაუვალია, თან უფრო მწვავე – მენტალური ჯანმრთელობის. სკოლას, თანატოლებს, სოციალურ მოწყვეტილი ბავშვები ვერც აკადემიურ განათლებას იღებენ და ვერც სოციალურ უნარებს ივითარებენ.

ჩვენ შემთხვევაში, ბარბარემ მეოთხე კლასი ისე დაამთავრა, მხოლოდ ქართულში, თხრობის ნაწილში ჰქონდა ინდივიდუალური გეგმა. ამ ზაფხულს ხელახლა შევაფასებინე და აღმოჩნდა, რომ მას უკვე, მათემატიკის გარდა, ყველა საგანში დასჭირდება ის. მეც ვამჩნევ, რომ გვაქვს ჩამორჩენა და აუცილებელია დროული ჩარევა. თუკი 4 ოქტომბერს სასწავლო პროცესი სასკოლო სივრცეში განახლდება, ბარბარეს აუცილებლად ნავეყვან.

ასევე, ვიცი, რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ სხვა სხსმ ბავშვებიც, უმეტესმა მათგანმა ონლაინ ფორმატში ჩართვა ვერ მოახერხა და საერთოდ, პროცესის მიღმა აღმოჩნდა. სამინისტროს პოზიცია, რომ ონლაინ სწავლებამ გაამართლა, რეალობას მონეჭვითელია. გავა დრო და ჩვენ მივიღებთ კოვიდისგან დაკარგულ თაობას. ამას წინაშე სამინისტროს წარმომადგენელს ვუსმინე და საკმაოდ გაბრაზებულმა გამოაცხადა: ვინც კატეგორიულად უარყოფს ონლაინ სწავლების სიკეთეს, იქნებ უკეთესი მეთოდი შემოგვთავაზოს. მსგავსი ფორმატების გასამართად ჩემი და სხვა მშობლების რჩევები შეიძლება ყურადსაღები იყოს, მაგრამ პროგრამის გამართვა და ხარვეზების აღმოფხვრა სამინისტროს პეროგატივაა, ამისთვის არსებობენ საექსპერტო წრეები, რომლებსაც საკმაოდ სოლიდური ანაზღაურებაც აქვთ და ცოტა არ იყოს ცინიკურად მიჩვენება ჩვენკენ ხელის გამოშვება.

**სატია მიმინოშვილი** ➔ პრობლემა ინტერნეტის სიჩქარე, რომელიც მრავალშვილიან ოჯახში ვერ ნაწილდება და მოგესხნებათ, ძველ სახლებში საკმაოდ სქელი კედლებია, ამიტომ, თუ კარს ხურავ, wi-fi არ „სწვდება“, კარს გააღებ და ხმა-

- ✓ ეს ჰრიოცები აუცილებლად ცუდად აისახება მომავალი თაობის განათლებაზე. გახსენით სკოლები!
- ✓ აქტიური ბავშვების გაჩუმება დისტანციურად შეუძლებელია, მაინც ყვირიან და ამაში ძალიან ბევრი დრო იხარჯება.
- ✓ სკოლას, თანატოლებს, სოციალურ მოწყვეტილი ბავშვები ვერც აკადემიურ განათლებას იღებენ და ვერც სოციალურ უნარებს ივითარებენ.
- ✓ ჰრიობლემას ინტერნეტის სიჩქარე, რომელიც მრავალშვილიან ოჯახში ვერ ნაწილდება.
- ✓ მოსწავლეები უნარლოდ შეუძვეს ზემში ან თიშში და როგორ აქვთ განვითარებული უმჭიურული უნარ-ჩვევები მათ ან მშობლებს, ამას არავინ კითხულობს.
- ✓ 20 წუთივ ცოცხა გაკვეთილისთვის, ახსნა და გამოკითხვა ვერ ეწევს ამ დროში.

ური აწუხებს ყველას, თან, სამწუხაროდ, ოთხივეს თავისი ოთახი არ აქვს, გაკვეთილები კი ერთ დროს აქვთ. მრავალშვილიანი ოჯახები კი მრავალწილნიანია და მათი აქტი-იტი სიარული ყველას უფანტავს გონებას. ჩვენ შემთხვევაში, ბევრად უფრო პრაქტიკული აღმოჩნდა „ტელესკოლა“ და ამას ვიყენებთ. წელს, რაც სწავლა დაიწყო, ონლაინ არც ერთი შვილი არ ჩართულა. დავალებებს იგებენ და რასაც როგორ ახერხებენ დამოუკიდებლად ასრულებენ.

**ანა წარწვიანა-ზურაბაშვილი** ➔ სირთულეები რამდენიმე ტიპისაა:

- 1) ტექნიკური – ქვეყანაში პრაქტიკულად არაა უწყვეტი და სტაბილური ინტერნეტი. ტექნიკური მხარეა ისიც, რომ ბავშვი მობილურით არ უნდა შეიძლება გაკვეთილზე და უწევს;
- 2) შინაარსს რაც შეეხება: მასწავლებელს უწევს კლასის გაყოფა, რადგან შეუძლებელია 20 ბავშვს ნახევარ საათში ჩაუტაროს გაკვეთილი. როცა წერა-კითხვის სწავლის ეტაპზე არიან ბავშვები, რეგულში წერას ვერ სწავლობენ. შემცირებულია გაკვეთილების რაოდენობა და საათები. ახლა 4 ოქტომბერს სწავლის დაწყების იმედი რომ აქვთ, ძალიან „აშკვებული“ მიდგომაა, პრაქტიკულად არაფერი ისწავლება იმის მოლოდინით, რომ კლასში აანაზღაურებენ;
- 3) შემოდის მშობლის განზომილება და პირდაპირ ვიტყვი, რომ სრულგანაკვეთიანი სამუშაოს პატრონს არ მცალია ვიჯდე გაკვეთილებზე. გაკვეთილებზე რომც არ ვიჯდე, შუალედები ისეთია, რომ „შევიდა“ ბავშვი გაკვეთილებზე და თავს მიხედავს – ეს წარმოუდგენელია. ზოგ გაკვეთილს შორის შუალედი 1 საათია, ზოგჯერ – 10 წუთი და ამ დროის მენეჯმენტი მშობლის პრობლემაა. შემდეგ მოდის დავალებების დაწერის ეტაპი, რომელიც მე უნდა გადავუზავნო მასწავლებელს. ისიც გასათვალისწინებელია, დაბალი კლასის მოსწავლეები, განსაკუთრებით პირველკლასელები, კომპიუტერულ ტექნოლოგიებს არ სწავლობენ. ეს ცვლილება კი არ დაუშვა სამინისტრომ სასწავლო გეგმაში, უბრალოდ შეუშვეს ზუმში ან თიშში და როგორ აქვთ განვითარებული კომპიუტერული უნარ-ჩვევები მათ ან მშობლებს, ამას არავინ კითხულობს.

**თამუნა საბარაძე** ➔ გამოწვევები ნამდვილად ახლავს ონლაინ სწავლებას. ცხადია, ყველაფრის ჩამოთვლას არ ვაპირებ, მხოლოდ განსაკუთრებულ პრობლემებზე გეტყვით – ჩემი აზრით, ბუქებს უნდა ჰქონდეს თანდართული ლექსიკონები; როცა სწავლა კლასში იწყება, ონლაინზე დარჩენილ ბავშვებს, სასურველია, გაკვეთილებს თავიანთი პედაგოგები უტარებდნენ; 20 წუთიც ცოტაა გაკვეთილისთვის, ახსნა და გამოკითხვა ვერ ეტევა ამ დროში. წარმოიდგინეთ, აქტიური ბავშვები არ აცდიან იმით, ვისაც მოფიქრება სჭირდება. მასწავლებელიც ვერ ელოდება და, ფაქტობრივად, ბავშვი თამაშგარე მდგომარეობაშია, ანუ პროცესში ვერ ერთვება. მე მარტოხელა დედა ვარ და ამის გამო, საშხაბური დაჯიარგე-გვერდით უნდა ვეჯდე და მივუთითო რა და როგორ გააკეთოს; მასწავლებლებიც დაბნეულები არიან – ახსნა მასალა, თუ იმის შიშში იყვნენ, ვინმე არ გამოჩნდეს, რომ შემდეგ მშობლის პრეტენზია არ მოისმინონ.

როცა პირისპირ სწავლება იწყება, ნაწილი ონლაინ სწავლებას ირჩევს. დისტანციური გაკვეთილების ჯგუფი კი, სხვადასხვა პარალელური კლასის მოსწავლეებისგან შედგება, ამიტომაც მათ გაკვეთილს სხვა პედაგოგი უტარებთ. მივესალმებოდ, თავისივე კლასის პედაგოგი რომ უტარებდეს გაკვეთილს, რადგან ბავშვს გაუცხოება აღარ ექნება მასწავლებელთან. მე რომ ჩემი ბიჭი ონლაინზე დავტოვო, საერთოდ გაჩუმდება და სხვა პედაგოგებთან ხმას აღარ ამოიღებს.



საგანმანათლებლო ლიდერი

„რა ქულა მიიღე“ თუ „რა ისწავლეთი“ ჩანს სკოლაში, ბევრად უკეთესი იქნება



მამუკა იმანიშვილი  
ლანჩხუთის  
მუნიციპალიტეტის  
ჩიბათის საჯარო  
სკოლის დირექტორი

რო მალაღია. ისინი წარმატებით ართმევენ თავს ცხოვრებისეულ სირთულეებს. ამიტომ, აუცილებელია, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, სკოლებში სხვადასხვა მიმართულებით კლუბების ჩამოყალიბება. საბოლოო ჯამში, ეს აკადემიური მოსწრების შედეგზეც აისახება.

წარმატებული სკოლისთვის აუცილებელი ფაქტორები

როგორ უნდა შეიქცალოს თანამედროვე ქართული სასკოლო სისტემა

სკოლის დირექტორი, როგორც საგანმანათლებლო ლიდერი

სკოლის დირექტორი საგანმანათლებლო ლიდერია, რომელიც ზრუნავს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე. ასევე, მას ჯგუფზე გაგვიანის მოხდენის უნარი უნდა ჰქონდეს, შექმნას კულტურა სკოლაში, რომ მოსწავლე კრიტიკულად მოაზროვნე, კონკურენტუნარიან მოქალაქედ ჩამოყალიბდეს, რომელიც დღეს სჭირდება სახელმწიფოს. საზოგადოებისთვის (გველისხმობ მოსწავლეებს, მასწავლებლებს, მშობლებს – ასე აღვიქვი სიტყვა საზოგადოება) სამართლიანობის და მისაბაძი ქცევის მაგალითის მიმცემი უნდა იყოს. სკოლის ლიდერი მხოლოდ მოთხოვნით კი არა, მოთხოვნის შესრულებაში დახმარებით უნდა გამოირჩეოდეს. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, მაღალი კომუნიკაციის, პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის საკითხების კარგ ფლობას მოიცავს.

ხარისხის მართვა სკოლაში

სკოლაში ხარისხს განსაზღვრავს:  
➔ პირველი – კვალიფიციური პედაგოგი, რომელსაც აქვს მაღალი მოტივაცია, რომ მუდმივად განვითარდეს, იყოს სიახლეების მიმდებარე და გამზიარებელი;  
➔ მეორე – სწავლა-სწავლების პროცესი, რომელიც მოსწავლეთა ინდივიდუალურ განვითარებაზე იქნება მორგებული;  
➔ მესამე – სკოლასა და კლასში არსებული კლიმატი, რომელიც ჯანსაღ კონკურენციასა და თანამშრომლობით კულტურაზე იქნება აგებული.  
ხარისხის მართვა წინასწარ შემუშავებული ინდიკატორების საფუძველზე ხორციელდება, სასკოლო გუნდის მიერ, რომელიც შედგება ხარისხის მართვის ჯგუფისგან, კათედრის წევრებისა და სკოლის დირექციის წარმომადგენლებისგან. ვფიქრობ, რთულია ხარისხის მართვა და შედეგზე ორიენტირება, მაგრამ გადანაწილებული ფუნქცია-მოვალეობები საქმის სრულყოფილად შესრულების საშუალებას გვაძლევს. მნიშვნელოვანია, დირექტორის მხრიდან, საქმის კეთების დანახვა და შემსრულებელი ადამიანების აღიარება. მასწავლებლისთვის აღიარება უდიდესი ძალაა და მოტივაცია, დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად.

რამდენად აისახება კონკრეტული სკოლის სასწავლო მოდელი კონკრეტული მოსწავლეების შედეგებზე

მოზარდთა განვითარებაში სკოლას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. განათლების გარდა, ბავშვი სკოლაში ცხოვრებისთვის აუცილებელ სოციალურ უნარებს ითვისებს, როგორც არის: საკუთარი თავის შესწავლა და ქცევების მართვა, თანატოლებთან და უფროსებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება. ეს უნარები ეხმარება მას, იყოს წარმატებული როგორც სკოლის პერიოდში, ასევე სკოლის შემდეგაც. სწავლის დროს, ასეთი მოსწავლეების შედეგი უფ-

მოსწავლემ რომ ცხოვრების გამოწვევებს გასცეს პასუხი, მისი უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება საჭიროა, იმ უნარების, რაც მას პიროვნულ განვითარებაში დაეხმარება და საჭირო დროს სწორ არჩევანს გააკეთებინებს. დღეს, ძირითადად, ორიენტირებული ვართ მხოლოდ მოსწავლის მაღალ აკადემიურ მოსწრებაზე. ბევრად მეტია საგნების საათობრივი დატვირთვა, განსაკუთრებით – საბაზო საფეხურზე. რატომღაც გვგონია, რომ საგანში რაც მეტი დატვირთვა ექნება მოსწავლეს, უფრო მეტი მიღწევა ექნება. მთავარია, როგორი ხარისხით ვასწავლით და როგორ გამოიყენებს ის ნასწავლს.  
სასურველია, საშუალო საფეხურზე, არჩევითი იყოს საგნების სწავლება მომავალი პროფესიის დაუფლებისთვის. ბავშვს მეტი დრო უნდა დარჩეს ჰარმონიული განვითარებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესისთვის. დღეს ისევე აქტუალურია – „რა ქულა მიიღე“, მაგრამ თუ ეს ჩანაცვლდება „რა ისწავლეთი“, ბევრად უკეთესი იქნება.

ახალი სტანდარტის ახალი ტენდენციები

სტანდარტი აძლევს სკოლის დირექტორს იმის წარმოდგენის წინაპირობას, როგორ უნდა იმუშაოს სკოლაში. ახალი სტანდარტით, პრიორიტეტი ენიჭება მოსწავლის ჰარმონიულ განვითარებას, სკოლის ლიდერის მიერ პოზიტიური სიახლეების დანერგვით.

გუნდური მუშაობის როლი

სკოლაში მუშაობა იმდენად დიდ რესურსს მოითხოვს, შეუძლებელია, ერთმა ადამიანმა მარტომ აკეთოს საქმე, თუ კარგი გუნდი არ ჰყავს (მე პირადად, ამ მხრივ, გამომართლა). თუ დირექტორს გუნდი არ ჰყავს (თავისი იდეების გაზიარებისთვის), ვერაფერს გახდება. არ მიყვარს სიტყვა „ჩემი სკოლა“ ან „მე გავაკეთე“. ხშირად ვიყენებ სიტყვას „ჩვენ“ – ამაში ერთიანობის განცდა ჩანს, რაც გუნდს მოტივაციასა და პასუხისმგებლობას უზრდის. დირექტორმა უნდა იცოდეს, გუნდში ვის რა „ტვირთის“ ტარება შეუძლია, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მოტივაციას კარგავს. ჩემი პრაქტიკიდან გეტყვით, რომ არასოდეს მიმიღია სკოლაში ახალი კადრი ჩემი შეხედულებით ან ვილაციის ხაზით, ასეთები თითქმის არ ამართლებენ იმედს და ცუდ მემკვიდრეობად რჩებიან სკოლისთვის. ჯობია, ჩემთან ერთად, სკოლის კომპეტენტურმა გუნდმა მიიღოს ერთობლივი გადაწყვეტილება და გაიზიარონ პასუხისმგებლობა ახალი კადრის „გაზრდაში“. უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი სკოლის წარმატება და სიძლიერე გუნდის დამსახურებაა და არა მარტო სკოლის დირექტორის.

მასწავლებლების პროფესიული განვითარება სკოლაში

რაც შეეხება მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას, ვცდილობ, სიახლის ცენტრში ვიყო, რაც სკოლის თანამშრომლებს დაეხმარება პროფესიულ ზრდაში – იქნება ეს ტრენინგები, ინტერნეტ რესურსი თუ სხვ. თქვენი გაზებით ხომ ერთ-ერთი საუკეთესო რესურსია, საიდანაც ბევრი რამ შეუძლია გაიგოს დაინტერესებულმა ადამიანმა, ჩემი ჩათვლით.

- ➔ სასწავლო გეგმა, რომელიც მარტივად მისაღწევი და დროში განხორციელებადი იქნება, არა ისეთი, მხოლოდ ქალაქზე რომ წერია ლამაზად;
- ➔ მშობლებისა და საზოგადოების ჩართულობა, რადგან მოსწავლემ უნდა იგრძნოს, რომ მასზე ყველა ერთობლივად ზრუნავს;
- ➔ უსაფრთხო და მონესრიგებული სასწავლო გარემო; მონესრიგებული ინფრასტრუქტურა, მშვიდი, პოზიტიური გარემო, უზრუნველყოფილი კვებით და რესურსებით;
- ➔ თანამშრომელთა პროფესიონალიზმი, რომელიც ორიენტირებული იქნება პროფესიულ ზრდა-განვითარებაზე.

რა ხელშეწყობა სჭირდება დღეს სკოლის დირექტორს

როდესაც სასწავლო წელი მთავრდებოდა, IX კლასს ვთხოვე, წერითი დავალება შეესრულებინათ – „მე, რომ დირექტორი ვიყო...“ თითქმის ყველა მოსწავლემ დირექტორისგან მოითხოვა სპორტული დარბაზი და მოედანი (რაც საერთოდ არ აქვს სკოლას), ერთჯერადი კვება, მეტი გასვლითი გაკვეთილები სკოლის სივრცის მიღმა და ა.შ. აი, ამ მოსწავლეების სურვილების ასრულებისთვის მჭირდება მხარდაჭერა. მოსწავლეს შეუსაბამო მოედანზე არ უნდა უტარდებოდეს სპორტის გაკვეთილები, არ უნდა შიოდეს და საქართველოს ისტორია მარტო სკოლის მერხთან არ უნდა ისწავლებოდეს. საჭიროებების ჩამონათვალის გაგრძელებაც შეიძლება, მაგრამ გყავდეს ბედნიერი მოსწავლე, რომელიც შენთან ატარებს მისი ცხოვრების საუკეთესო 12 წელს, ეს არის ყველაზე დიდი ხელშეწყობა.

როგორ უნდა შეარჩიოს სკოლამ დირექტორი

სკოლის დირექტორი უნდა ფლობდეს იმ უნარებს, რაც სკოლის განვითარებას შეუწყობს ხელს. დირექტორის არჩევანში თავად სკოლის პედაგოგები უნდა მონაწილეობდნენ. ეს ფუნქცია სამეურვეო საბჭოს აქვს აღებული, მაგრამ რამდენიმე ადამიანის არჩევანს, ჯობს ყველა თანამშრომელმა გამოხატოს ნება. მაგრამ, თუ დირექტორი დაკისრებულ საქმეს სრულყოფილად და კეთილსინდისიერად ვერ წარმართავს, უნდა გადაირჩიონ. ასე სკოლის დამოუკიდებლობა და ავტონომიურობაც გაიზრდება.

P.S. რაც შეეხება სკოლების ავტორიზაციას, ვფიქრობ, დროულია. სამინისტრო უნდა დაეხმაროს სკოლას ავტორიზაციის კრიტერიუმების დაფარვაში, რომლის ხარისხის შენარჩუნების/გაგრძელების გარანტი თავად დირექტორი უნდა იყოს.





მათემატიკა

მე - კალამი



მარია ნალაია
თბილისის წმ. გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის დანერგებითი საფეხურის მასწავლებელი, მასწავლებლის ეროვნული ჯილდო 2021-ის საუკეთესო ათეულის წევრი

მეთოდმა „მე - კალამი“ ჩემს პრაქტიკაში ძალიან კარგად და სასარგებლოდ იმუშავა, კონკრეტულად, დამეხმარა მოსწავლეებში მეტყველების განვითარების კუთხით მუშაობაში, ფანტაზიის უნარის გაზრდაში, განაფხვანში. მოსწავლეები კარგად ართმევენ თავს წინადადების აგებას, ამბის აწყობას და ტექსტის შედგენის პრინციპს, მაგალითად, რომ ტექსტი, ამბავი ჯერ უნდა დაიწყო, შემდეგ განვითარდეს რაღაც მოვლენამდე და უნდა დასრულდეს კონკრეტული ფინალი.

მოსწავლეებს ეს კონკრეტული მეთოდი ეხმარება, რომ გამოიმუშაონ ფანტაზიის, ანალიტიკური აზროვნების უნარები, გახდნენ უფრო საინტერესოები, კრეატიულები, უფრო შემოქმედებითები, ააგონ რამდენიმე სიტყვიანი წინადადება, დააკვირდნენ, მაგალითად, როგორ უნდა ჩაინეროს ეს წინადადება და ამის პრაქტიკული გამოცდილება ვიზუალური ხედვით მიიღონ. მათ უჩვენებთ განცდა, რომ ისინი თავად კითხულობენ თავისუფლად ამ ტექსტებს. მნიშვნელოვანია,

რომ ეს არ არის რეალურად ასე, ბავშვი თავისთავად არ კითხულობს ამ ტექსტს დამოუკიდებლად, რადგან ეს წინასწარ ანბანო პერიოდში ხდება. ჩვენ ბავშვებს ვაჩვენებ ტექსტის მთლიანობაში აღქმას. აქვე შეიძლება ჩართული იყოს მთლიან სიტყვათა მეთოდი, რომელიც გვაძლევს საშუალებას და ბავშვებს უჩვენს განცდას, რომ ისინი უკვე კითხულობენ თითოეულ სიტყვას და უკვე კარგად ცნობენ ასო-ბგერებს, ახდენენ მათ სინთეზს და შემდეგ სიტყვის წარმოქმას. ამ მეთოდის ძლიერ მხარედ სწორედ ეს საკითხები შეიძლება დავასახელოთ.

მეთოდის „მე - კალამი“ მიზანია ბავშვის ფანტაზიის განვითარება, წინადადების აგება, სიტყვების აწყობა და შემდეგ მოცემული ტექსტის ილუსტრირება. თემა, ცხადია, მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე უნდა შევარჩიოთ. შესაძლებელია, ეს იყოს: საყვარელი სათამაშო, უბრალოდ, სასკოლო ნივთი ან ირგვლივ, ჩვენს ფერად სამყაროში არსებული ნებისმიერი საგანი. ამით მოსწავლეებს წერა გაუადვილებათ და მათი ფანტაზია განსაკუთრებით მრავალფეროვანი იქნება.


მასწავლებელი ასრულებს კალმის ფუნქციას, დაფაზე აკრავს ე.წ. ფლიპჩარტს, ანუ სუფთა ქაღალდს, რომელიც იქნება დახაზული, რომ წერის დროს მან ხაზის სისწორე დაიცავს და ბავშვებმა კარგად, მკაფიოდ დაინახონ ყველა ასო-ბგერა, მათი მოხაზულობა, მდებარეობა ხაზზე. თითო მოსწავლე თითო წინადადებას კარნახობს მასწავლებელს, ანუ ერთი მოსწავლე - ერთ წინადადებას, შემდეგ, ლოგიკური ბმით - მეორე მოსწავლე და ასე გრძელდება, სანამ ტექსტი არ მიიღებს

სრულყოფილ ფორმას. თუ კლასში ბევრი მოსწავლეა და ბევრი წინადადების დაწერა მოგვიწევს, შეგვიძლია, ბავშვები ჯგუფებად დავყოთ და ყველა ჯგუფს თავისი ინდივიდუალური პატარა დავალება მივცეთ, მაგალითად, ერთმა საყვარელ სათამაშოზე დანეროს, მეორემ - შინაურ ცხოველზე, მესამემ - თავისი არჩევანით, მაგალითად, წიგნი ალაპარაკოს და წიგნზე დანეროს რაიმე მკაფიოდ.

შედგენილ ტექსტს აუცილებლად ვკითხულობთ ხმამაღლა, მკაფიოდ, შემდეგ ვკითხულობთ ერთობლივად, ანუ ბავშვებთან ერთად, ამის შემდეგ კი, მართული კითხვის მეთოდს ვიყენებთ, როდესაც ვკითხულობთ ერთ წინადადებას და ბავშვები იმეორებენ ჩვენ მიერ ნაკითხულს. დაბოლოს, ბავშვები დამოუკიდებლად შეძლებენ ახალი ტექსტის ნაკითხვას.

ამ მეთოდით შედგენილი ტექსტები კლასში თვალსაჩინოდ ადგილას მქონდა ვაკრული. ბავშვებს ხშირად ვამოიკრებინებდი მათ მიერ შედგენილ საინტერესო ამბებს და ძალიან ხალისობდნენ. კითხვა სხვადასხვა მეთოდით მიმდინარეობდა, როგორც უკვე გითხარით - ხმამაღლა კითხვა, ერთობლივად კითხვა, კითხვა სინქრონში, ანუ მართული კითხვა, დამოუკიდებელი კითხვა და ეს ძალიან ახალისებდა პროცესს.

რადგან ასეთი ტექსტების საკმაოდ დიდი რაოდენობა დაგვიგროვდა, გადაწყვიტეთ დაგვეერთო საინტერესო ილუსტრაციები, ცხადია, ბავშვების ხელით დახატული, ასე ვთქვათ, კლასის ამბები, აგვეკინა და გამოგვეცა, ჩვენი კლასის სახელით. შეგვექლო, წავგვეკითხა პარალელური კლასებისთვის და ისინი პრეზენტაციაზე მოგვეწვია.



1. ვარჩევთ სათაურს

2. მოსწავლეები მკარნახობენ წინადადებებს, მე ვწერ

3. დანერვილ ტექსტს ვკითხულობთ ერთობლივად

4. ვჭრით სიტყვებად და ვიხსენებთ აწყობისას ამ სიტყვების თანმიმდევრობას, ვადარებთ ნიმუშს

5. დამუშავებულ ტექსტს ვჭრით წინადადებად ვანყობთ ნიმუშის მიხედვით ან ვიხსენებთ აწყობისას თანმიმდევრობას

კვალი ნათელი

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მასვში

მიმდინარე წლის 25 ივნისს გარდაიცვალა ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი - მწერალი, მაცნობარი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი აპაკი (გასაე) გასვიანი. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დააკლდა ადამიანი, რომელთანაც ურთიერთობა ფუფუნება იყო. ბატონი აკაკი ეკუთვნოდა იმ „ჭკვანსიერ“ (ილია ჭავჭავაძე) კაცთა რიცხვს, რომელსაც შეეძლო სულ სხვა სიღრმითა და სიმართლით საუბარი, არასოდეს შეშლია ეროვნული ღირებულებების პატივისცემა. მესტიის უღამაზეს სოფელ ხალდეში დაბადებულს, არ მიუტოვებია ფიქრი იმ გმირთა სულებზე, რომელთაც ღირსება და სახელი შეუნარჩუნეს თავიანთ მინას, მტერს არ აპატიეს თავისუფალი სულის შებღალვა. სწორედ იქიდან, წინაპართა ფესვიდან, გამოჰყვა საბრძოლო სულისკვეთება. აფხა-



მიმდინარეობს, მინიერი ბილიკებიდან ამანძილების შემდეგ, რას დატოვებ, როგორ გაგისხენებს მომავალი თაობა. აკაკი გასვიანი, სადაც არ უნდა ყოფილიყო, მუდამ განსაკუთრებული კედლებიდან ყველა საქმეს. სულის საზრდოს სახით მან ბევრი რამ დაგვიტოვა - სადოქტორო ხარისხის მოპოვებისთვის მალალ სამეცნიერო დონეზე დანერვილი ნაშრომი: „სულიერებისა და მატერიალულობის სინთეზი სამყაროში“; წიგნები: „სიცოცხლის ფილოსოფიური ახსნა“, „სამყაროული მოძრაობა“, „ცივილიზაციის სათავეებთან“, ნოველების კრებული „მზის სიმღერა“, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

აკაკი გასვიანი უყვარდათ და პატივს სცემდნენ როგორც აფხაზეთში, ასევე სვანეთში. ის სიტყვის კაცი იყო, სჯეროდათ მისი. სვანეთში მისმა გვარმა მახვამად ალიარა, არა ასაკის გამო, არამედ მისი ინტელექტის, განვლილი ცხოვრების, სიბრძნისეული აზროვნების გამო. აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ ბატონი აკაკის საკვარცხი მიაღწია წარწერით: „აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მასვში“. აი, ასეთმა კაცმა დავეტოვა, მარადიული სასუფეველის ბილიკებს მიაშურა. მართლაც, ნუთი ყოფილა ნუთისოფელი. გვინდოდა, დიდხანს გვემზირა ამ გაუტყებელი სულის ადამიანისთვის, კიდევ ბევრი შეექმნა მის კალამს. ჩვენ ვერასოდეს დავივიწყებთ მის გამორჩეულ ადამიანურ თვისებებს, კეთილგანწყობას, მეგობრულ სიყვარულს, თანადგომას... მოგვენატრება მისი დინჯი, ბრძნული, სიღრმისეული საუბრები.

ბატონო აკაკი, ღმერთმა ნათელით ატაროს თქვენი სული. ვალმოხდელი წახვედით, მესამშობლოე კაცი იყავით და მამულის წინაშე პირნათლად აღასრულეთ თქვენი მისია. მშვიდობით, მახვამო.

დიდი პატივისცემით, მშრმან კვარაცხელია, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

P.S. ბატონი აკაკი გასვიანი ჩვენი რედაქციის ხშირი სტუმარიც იყო, მოქონდა საგაზეთო წერილები აფხაზეთის საგანმანათლებლო კერების და იქ მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესების შესახებ. მის მიერ გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციებით ერთგვარი ისტორიაც კი შეიქმნა აფხაზეთის განათლების სისტემის შესახებ, რომელიც ჩვენს არქივში ინახება. რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს აკაკი გასვიანის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მის ოჯახსა და მეგობრებს.

ამ ლამაზ და ხშირად ტკივილიან ნუთისოფელს განერიდა კიდევ ერთი ღირსეული შვილი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, კავკასიური გონით გამორჩეული კაცი, ჩემი უფროსი მეგობარი და კოლეგა, აკაკი (გასაე) გასვიანი. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დააკლდა ადამიანი, რომელთანაც ურთიერთობა ფუფუნება იყო. ბატონი აკაკი ეკუთვნოდა იმ „ჭკვანსიერ“ (ილია ჭავჭავაძე) კაცთა რიცხვს, რომელსაც შეეძლო სულ სხვა სიღრმითა და სიმართლით საუბარი, არასოდეს შეშლია ეროვნული ღირებულებების პატივისცემა. მესტიის უღამაზეს სოფელ ხალდეში დაბადებულს, არ მიუტოვებია ფიქრი იმ გმირთა სულებზე, რომელთაც ღირსება და სახელი შეუნარჩუნეს თავიანთ მინას, მტერს არ აპატიეს თავისუფალი სულის შებღალვა. სწორედ იქიდან, წინაპართა ფესვიდან, გამოჰყვა საბრძოლო სულისკვეთება. აფხა-

ზეთის ომის დროს იყო ჟიული შარტავას, საქართველოს ეროვნული გმირის, თანამებრძოლი. მინისტრთა საბჭოს ცეცხლნაკიდებელი შენობა ერთ-ერთმა ბოლომ დატოვა, სასწაულად გადარჩა. იქიდან კოდორის ხეობაში გადავიდა...

არ შეიძლება არ გავიხსენო აკაკი გასვიანის სიტყვები, რომლითაც მიმართა ირგვლივ მყოფ საზოგადოებას: „ჩვენ ვართ ჯარისკაცები, არც მინისტრები, არც თავმჯდომარეები, არც მოადგილეები, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ამ ომში. მისი დასრულებისას კი ავიღოთ კალამი ხელში და გავაგრძელოთ წერა.“ ბატონი აკაკი იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. მისი დამსახურებაა, რომ სოხუმის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა შეძლო, მშვიდობიანად გამოეღწია იმ ჯოჯოხეთიდან.

სიცოცხლე არ განიზომება მხოლოდ წელთა სიმრავლით.



# ქართული სტუდენტი – „2021 წლის დოკდოს მსოფლიო რეპორტიორი“

სამხრეთ კორეამ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმოდგენილი პოპულარობა მოიპოვა. საკმაოდ მოკლე პერიოდში მიაღწია დაუფერებელ ეკონომიკურ განვითარებას და შეძლო, შეექმნა სტაბილური სოციალურ-პოლიტიკური გარემო. ამ ფენომენს „მდინარე ჰანის სასწაულის“ სახელით ვიცნობთ. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 70 წლის განმავლობაში, სამხრეთ კორეამ საკმაოდ რთული პერიოდი განვლო და ლარიბი ქვეყნიდან სწრაფი ტემპით მიაღწია განვითარებას. ბოლო დროს, კორეულ „რბილ ძალად“ („soft power“) აღიარებული „ჰალიუ“ (კორეული ტალღა), რომელიც მოიცავს კორეულ პოპ მუსიკას, სერიალებსა და ფილმებს, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელდა. ცნობილ კორეულ მუსიკოსთა ჯგუფი BTS, 2017 წელს, ბილბორდის ჯილდოს მიღების შემდეგ, კიდევ უფრო პოპულარული გახდა. 2019 წელს კი, რეჟისორ ბონ ჯუნ ჰოს ფილმმა „პარაზიტები“ ოსკარის ჯილდო მიიღო, რის შემდეგაც მსოფლიოს მრავალი ქვეყანა დაინტერესდა მისით, ამას გარდა, კორეული ენითა და კორეის კულტურით დაინტერესებულთა რიცხვიც ყოველდღე იზრდება.

კორეა და საქართველო დიპლომატიური ურთიერთობების 29 წელიწადს ითვლის. ამ ხნის განმავლობაში, ამ ორ ქვეყანაში, ერთმანეთის შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მოსაპოვებლად და უკეთესი მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბებისთვის, არაერთი ღონისძიება ჩატარდა. ერთმანეთისგან ასე მოშორებით მყოფ ორ ქვეყანას, მრავალ მსგავსებათა შორის, ტერიტორიული მთლიანობის საკითხიც აერთიანებს. რუსეთს საქართველოს 20% აქვს ოკუპირებული. ამის მსგავსად, კორეასა და იაპონიას შორის დოკდოს კუნძულის შესახებ იმართება დისპუტი.

დოკდო აღმოსავლეთის ზღვაში კორეის რესპუბლიკის (სამხრეთ კორეა) გიონგსანგუის პროვინციის ულინგის რეგიონში მდებარეობს. დოკდოს კუნძული კორეის ტერიტორიის ბუნებრივ მონუმენტად 1982 წელს გამოცხადდა. თუმცა იაპონია მას თავის ტერიტორიად მიიჩნევს და კორეას ამ საკითხში უპირისპირდება. არსებობს არაერთი მტკიცებულება იმისა, რომ დოკდოს კუნძული სამხრეთ კორეის ტერიტორიულ კუთვნილებაშია. თავდაპირველად, უნდა აღინიშნოს, რომ კორეის უძველეს ოფიციალურ დოკუმენტებში დოკდო მოიხსენიება როგორც კორეის ტერიტორია. 512 წლის ჩანაწერები, 3 სამეფოს პერიოდისგან (გოგური, ბეკჯე, სილას სამეფოები კორეის ტერიტორიაზე), დოკდოს უსანგუის (სილას სამეფოს) დაქვემდებარებაში ყოფნას ადასტურებს („დონგგუკუმპონზიგო“ („დონგგუკის ლიტერატურული ჩანაწერები“), 1770).

დოკდოს ტერიტორიული უზენაესობის შესახებ იაპონიას, 695 წელს, კითხვით მიმართეს, რაზეც ამ უკანასკნელმა, დოტორიბონის სამეფომ (სამეფო, რომელიც ინაბა-ჰოკის განაგებდა, ახლანდელი დოტორის პრეფექტურა), მაშინ დოკდოს თავიანთი სამეფოს შემადგენლობაში შესვლაზე ოფიციალური უარი განაცხადა. 1951 წელს, სან-ფრანცისკოს მშვიდობის ხელშეკრულების მიხედვით, მე-2 მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, იაპონიამ აღიარა კორეის სრული დამოუკიდებლობა და ჯეჯუს, გომუნის და ულინგის კუნძულების ჩათვლით კორეის ტერიტორიაზე თავისი ზეგავლენა უარყო. ის, რომ ჩანაწერში კერძოდ დოკდო არ არის ნახსენები, არ ნიშნავს, რომ დოკდო კორეის ნაწილი არ არის. დღესდღეობითაც, დოკდოზე კორეელი მოქალაქეები ცხოვრობენ და ამას გარდა, ის ფაქტი, რომ კუნძული კორეასთან უფრო ახლოს მდებარეობს, ვიდრე იაპონიასთან, მისი კორეის ტერიტორიაში შესვლის დამატებით არგუმენტად მოიაზრება.

იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ დაკეშიმა (იაპონელები დოკდოს დაკეშიმას სახელით მოიხსენიებენ, რაც იაპონურად „ბამბუკის კუნძულს“ ნიშნავს) კორეის ტერიტორია არ არის და თავისი არგუმენტები წამოაყენა. ისინი დაუსაბუთებლად აცხადებენ, რომ, რადგა-

ნაც დოკდო 1952 წლის სან-ფრანცისკოს მშვიდობის ხელშეკრულებაში არ არის ნახსენები, სამხრეთ კორეამ აღნიშნული ტერიტორია უკანონოდ მიისაკუთრა. იაპონია მიიჩნევს, რომ 1905 წელს სიმანეს სამეფომ დაკეშიმა თავის ტერიტორიად ჩათვალა და შესაბამისად, დიდი ხნის განმავლობაში, ის იაპონიას ეკუთვნის. ის ასევე აცხადებს, რომ ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობის მეშვეობით მასზე გავლენის დამტკიცება არგუმენტად ვერ მიიღება. თუმცა, იაპონიის ყველა არგუმენტი დაუსაბუთებელი თავის მართლებისგან არაფრით განსხვავდება. როგორც მე-2 მსოფლიო ომის პერიოდში იაპონელი ჯარისკაცების მიერ კორეელი ქალებზე სექსუალური ძალადობის გამო, მათ დაზარალებულებს არ სთხოვეს პატიება, ასევე, როგორც ჩანს, ამ პრობლემასთან მიმართებითაც, წარსულში საკუთარი დანაშაულის აღიარება იაპონიას მეტად უძნელდება.

როგორც დავინახეთ, კორეისა და იაპონიის ურთიერთობა სხვადასხვა მხრივ რთულია. იმისთვის, რომ კორეასა და იაპონიას შორის დასტაბილურდეს სიტუაცია, საჭიროა, ორივე ქვეყანამ მოილაპარაკოს თუ როგორ შეძლებენ დოკდოს პრობლემის გადაწყვეტას. უკეთესი მომავლისთვის მნიშვნელოვანია ერთმანეთთან კომპრომისზე წასვლა (დათმობა). ამუშავეთ დოკდო კორეის რესპუბლიკის ტერიტორიად და აღიარებული და ოფიციალურად მიეკუთვნება კორეას, კორეელებისთვის მეტად ძვირფასია და საკუთარი ტერიტორიის დაცვის დიდი სურვილი და სულისკვეთება აქვთ. ამიტომ ვფიქრობ, ამ პრობლემის გადასაჭრელად, საჭიროა, ორმა ქვეყანამ გაითვალისწინოს ერთმანეთის აზრი და გაიმართოს ეფექტური კომუნიკაცია მათ შორის. საჭიროა იაპონიამ აღიაროს წარსულის ფაქტები და სიმართლე, გააანალიზოს ყველაფერი და ოფიციალურად სთხოვოს გულწრფელი პატიება კორეის რესპუბლიკას.

დოკდომ საკუთარი მომხიბვლელობით კორეა და საქართველო გააერთიანა. 2012 წლიდან დოკდოს ფონდი (ორგანიზაცია) და კორეის ასოციაცია საქართველოში ყოველწლიურ კორეულ კინოფესტივალს ატარებენ, სახელწოდებით – „ულამაზესი კორეა“. ღონისძიებაზე დამსწრეებს საშუალება ეძლევათ, გაეცნონ დოკდოს ისტორიას და ასევე განახორციელონ კორეასა და ამ ქვეყნის კულტურასთან დაკავშირებული უამრავი აქტივობა. აღნიშნული ღონისძიება ემსახურება კორეული კულტურის გაცნობას და მასში მონაწილეობა სხვადასხვა განხრითაა შესაძლებელი, როგორცაა კორეული პოპ მუსიკის (K-POP), სიმღერისა და ცეკვის წარმოდგენა, კიმბაბის (კორეული ტრადიციული კერძი) მომზადება, კორეული კალიგრაფია და მრავალი სხვა. ამას გარდა, სტუმრებს შეუძლიათ დოკდოს პოსტერთან სურათის გადაღება და ამობეჭდილი სახით მიღებაც. ღონისძიების ფარგლებში, საქართველოში მყოფი კორეის კულტურით დაინტერესებული პირები ერთ ადგილას იკრიბებიან და, დროის ხალისიანად გატარებასთან ერთად, გამორჩეულ მონაწილეებს განსაკუთრებული პრიზების მიღების შანსი ეძლევათ. კოვიდ პანდემიის გათვალისწინებით, 2020 წელს, აღნიშნული ღონისძიება ონლაინ რეჟიმში განხორციელდა, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზატორები და მონაწილეები პირადად ვერ ჩაერთნენ კონტაქტურ აქტივობებში, მათ მაინც მოახერხეს დროის საინტერესოდ და პროდუქტიულად გატარება. მომავალშიც კორეის მიმართ ქართველი აუდიტორიის მეტად დაინტერესებისთვის, „ულამაზესი კორეის“ მსგავსად, მრავალი სხვა აქტივობის მოწყობით შესაძლებელი გახდება ამ ორ სახელმწიფოს შორის უფრო მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბება.

მე, როგორც კორეაში კორეის სახელმწიფო დაფინანსებით ჩამოსულ სტუდენტს, მანსი მომეცა მონაწილეობა მიმელო „2021 წლის დოკდოს მსოფლიო რეპორტიორის“ პროგრამაში. 2012 წლიდან ყოველთვის ვესწრებოდი საქართველოში გამართულ „ულამაზესი კორეის“ ფესტივალს. კორეაში დოკ-



დოს შესახებ ჩატარებული პროგრამისადმი დიდი ინტერესი გამიჩნდა. ქართველ ხალხს დოკდოს შესახებ ღონისძიების ფარგლებში სმენია, თუმცა, კერძოდ ამ პრობლემის შესახებ არც თუ ისე ბევრმა იცის. ხოლო კორეაში, საუნივერსიტეტო პროგრამის მეშვეობით, კორეისა და იაპონიის ურთიერთობისა და დოკდოს საკითხის შესახებ დანერგული ცოდნა მივიღე და პირადადაც ვესტუმრე დოკდოს, რაც შესანიშნავი შესაძლებლობა აღმოჩნდა.

ღონისძიება ორ ნაწილად ჩატარდა: პირველი ნაწილი მოიცავდა ონლაინ შეხვედრას (Workshop), ხოლო მეორე – დოკდოს კუნძულზე მოგზაურობასა და დათვალიერებას. ასევე გაიმართა სტატიის წერის აქტივობა, თითოეული ჯგუფის მენტორისგან მიღებული მითითებებით წერის მეთოდებისა და მნიშვნელობის შესახებ ბევრი რამ შევისწავლეთ. პროგრამის ფარგლებში, მოვისმინეთ ლექციები კორეის თვალთ დახასხული დოკდოს საკითხის, ისტორიული რეალობის, მსოფლიო რეპორტიორთა როლისა და ასევე, სტატიის წერის მეთოდების შესახებ. გარდა ამისა, აღნიშნული საკითხები განვიხილეთ ცალ-ცალკე ჯგუფებში. ღონისძიების ორგანიზატორებმა ყველა მონაწილეს სიმბოლური საჩუქრები, ხოლო გამორჩეული სტატიის ავტორებს მრავალი დამატებითი პრიზი გადასცეს. პროგრამამ, კოვიდ პანდემიის ამ არასახარბიელო პერიოდშიც კი, უცხოელ სტუდენტებს კორეის კულტურის ღრმად შესწავლის მიღების შანსი მისცა. იმის გამო, რომ საქართველოში ტერიტორიული მთლიანობის საკითხი საკმაოდ მწვავედ დგას, დოკდოს პრობლემის მნიშვნელობა საკმაოდ ნათლად დავინახე და შეეძლია მისი შეფასება-გაზიარება.

ამგვარად, პატარა, მაგრამ უმშვენიერესი დოკდო უზარმაზარ მნიშვნელობას იძენს. ეს კუნძული აკავშირებს როგორც კორეასა და საქართველოს, ისე მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის შემაერთებელი შუამავალი ხდება. მიუხედავად იმისა, რომ დოკდოსთან დაკავშირებული პრობლემით კორეისა და იაპონიის ურთიერთობა გართულდა, ამ საკითხს სხვა მხრიდან რომ მივუდგეთ, ეფექტური კომუნიკაციის მეშვეობით, მისი გადაჭრა მოხერხდება. ამ შემთხვევაშიც, დოკდოს, როგორც ერთ-ერთ გადაწყვეტ ფიგურანტს, დიდი როლის შესრულება შეუძლია. დოკდო კორეის რესპუბლიკისა და მისგან შორს მდებარე საქართველოს შემაერთებელი ხიდი აღმოჩნდა. ალბათ, ამ სტატიის მკითხველი საქართველოში ჩატარებული ფესტივალის სახელის მნიშვნელობას უფრო უკეთ მიხვდება. ეს ყველაფერი არ არის. ბოლო დროს, კოვიდ პანდემიის მიუხედავად, დოკდომ კორეაში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული უცხოელი სტუდენტები ერთად შეგვკრიბა და გაგვაერთიანა. ეს ფენომენი რომ კიდევ განვაზოგადოთ, დოკდოს შეიძლება „მსოფლიოს გამაერთიანებელი ხიდი“ ვუწოდოთ. ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ, მინდა, მკითხველმა კარგად გაიაზროს, თუ რას წარმოადგენს დოკდო და მას სხვა თვალთ შეხედოს – ის მხოლოდ აღმოსავლეთის ზღვაში მდებარე კლდოვანი კუნძული კი არა, ზომით პატარა, მაგრამ მარგალიტით ძვირფასი, „მსოფლიოს დამაკავშირებელი ხიდი“, რომ კორეის რესპუბლიკის უმშვენიერეს კუნძულს ამდენად დიდი მნიშვნელობა და როლი აკისრია.

თამთა ზიხილაშვილი  
სეულის ჰანიანგის უნივერსიტეტის (Hanyang University)  
სტუდენტი





# ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინების მსირა ლექსიკონი

↳ **ლუკა კვატანაძე** ↳ **ნიკოლოზ ნაბინიძე**

*ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრანყაროს საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეები,*

↳ **თაკო ქიშელაშვილი**, *ჩოხატაურის რაიონის სოფელ კონნარის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე*

**ალემორია** – გადაკრულად ნათქვამი სიტყვა თუ სიტყვათა რიგი, რომელშიც მოვლენის შინაარსი კონკრეტული სახითაა წარმოდგენილი. მასში ნათქვამია ერთი და იგივე სახეობის მყოფი. მისი მიზანია ავტორის აზრის შენიღბვა.

**ალიტერაცი** – ერთი და იმავე მსგავსი თანხმოდანი ბგერების განმეორება სალექსო სტრიქონში. გამოსახვის პოეტური ხერხი, ემოციური ზეგავლენის საშუალება, ბგერების მუსიკალური ორგანიზაციის ფორმა. ქმნის ლექსის კეთილზმოვანებას, სიტყვის შინაარსის აკუსტიკურ თვალსაჩინოებას.

**ალუზია** – ითარგმნება ფრანგულიდან, როგორც გადაკრული სიტყვა. რიტორიკული ხერხი – გადაკრით ხსენება რაიმე ცნობილი ისტორიული ამბის ან ლიტერატურული ნაწარმოებისა. უმეტესად გაგებულია, როგორც ერთი სახელოვნებო პროდუქტის საფუძველი მეორე სახელოვნებო პროდუქტისათვის.

**ანდუზა** – ხალხური სიტყვიერების ფანრი; სინამდვილის გონებადახვეწილად განზოგადება. დამრიგებლობითი შინაარსის იუმორისტულ-სატირული ხასიათის თქმა. ანდაზათა უმრავლესობა რაიმე საყოველთაოდ მიღებულ ნორმას ან პრაქტიკულ კონცეფციას გამოხატავს. ანდაზა, რომელიც აღწერს ქვეყნის ნორმას, შეიძლება, იწოდოს, როგორც „მაქსიმია“.

**ასონანსი** – რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. 1) სალექსო სტრიქონში ერთი და იმავე ხმოვნის გამეორება. ასონანსი აძლიერებს კეთილზმოვანებას, მაგ., „მზემ დასავლეთი დააიარა; 2) არა-ზუსტი რითმა, რომელშიც ხმოვნები საერთოა, თანხმოდანია ერთი ნაწილი კი განსხვავებული.

**აფორიზმი** – დახვეწილი, ლაკონური ფორმით გამოთქმული ბრძნული აზრი. შეიძლება იყოს პოეტურიცა და პროზაულიც. ხშირად ვხვდებით დიდი მწერლების შემოქმედებაში. ქართულ ლიტერატურაში აფორიზმის დიდოსტატია რუსთაველი. აფორიზმი არსებობს ჩანართებისა და დამოუკიდებელი ფანრის ფორმითაც. ეს ფანრი პოპულარული იყო ევროპაში.

**ბალადა** – ფრანგულად ნიშნავს ცეკვას. ბალადა შუა საუკუნეების წარმოიშვა საფრანგეთში. ბალადებს მღეროდნენ ტრუბადურები, რომლებიც მეტწილად ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსული მოხეტიალე ავტორ-შემსრულებლები იყვნენ. ისინი უმთავრესად დაიოდნენ სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში და მღეროდნენ ლექსებს მეფეებისა და რაინდების საგმირო საქმეებზე, მათ ბრძოლებზე, მამაცობაზე. ამ ლექსების მღერის დროს ცეკვავდნენ და თან საკრავებს უკრავდნენ.

**ბიომორფია** – ითარგმნება ბერძნულიდან როგორც ცხოვრების აღწერა. ბიომორფია გვიხატავს ამა თუ იმ პიროვნების თავგადასავალს. იგი ეყრდნობა ფაქტიურ მასალებს, გვიხატავს რომელიმე პიროვნების ცხოვრების პირობებს, მის ურთიერთობას სხვა ადამიანებთან, მისი ხასიათის განვითარებას, მის საზოგადოებრივ და კერძო საქმიანობას. ბიომორფიაში მთავარი ყურადღება ექცევა დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ადამიანთა ცხოვრებისა და თავგადასავლის თანმიმდევრული მოვლენების ერთიმეორესთან მიზეზობრივად დაკავშირებულ აღწერას.

**ბანდერი** (პოეტური) – პოეტური მეტყველების ერთ-ერთი გამომსახველობითი საშუალება, ემოციური ზემოქმედების გაძლიერების მიზნით ენობრივი ელემენტების შეგნებული გამეორება.

**ბაპრომპტა** – იგივე პერსონიფიკაცია. მხატვრული გამოსახვის ხერხი, რომლისთვისაც დამახასიათებელია საგნებისა და მოვლენებისადმი ადამიანური თვისებების მიწერა, უსულლო და სულიერი საგნების გაადამიანება. უსულლო საგანი წარმოდგენილია, როგორც ადამიანი, რომელიც გრძობს, მსჯელობს, მოქმედებს.

**ბერილი** (ლიტერატურული) – იგივე პერსონაჟი, ფიზიკური და სულიერი ღირსებებით გამოჩეული პიროვნება, მიახლოებითი შესატყვისი ბერძნულ-ლათინური ცნებისა **heros**.

**ბროქტა** – მიწისქვეშა ნაგებობები, რომლებიც მორთული იყო ორნამენტით, რომელშიც სასაცილოდ იყო შერწყმული მცენარეების, ცხოველების და ადამიანების გამოსახულებანი. სტილი, როცა უსაზღვრო კარნატიურულ გაზვიადებაზე, ურთიერთგამომრიცხავ კონტრასტებზე, პარადოქსებზე აგებული ფანტაზიით დეფორმირებულია სინამდვილე.

**ბრილი** – ორ ან მეტი პირს შორის საუბარი. ზოგჯერ ორზე მეტ პირს შორის საუბარს პოლილოგს ეძახიან.

**ბრილი** – ითარგმნება როგორც მოქმედება, წარმოდგენა. აქვს რამდენიმე მნიშვნელობა: 1. ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც დაწერილია დიალოგებად და განკუთვნილია სცენაზე დასადგმელად; 2. ამ ტიპის ნაწარმოები, სერიოზული, მაგრამ არა გმირული შინაარსისა (კომედიისა და ტრაგედიისაგან განსხვავებით); 3. გადატანითი მნიშვნელობით: მიძიმე შემთხვევა – უბედურება.

**ბრილი** – ძველ საბერძნეთში წარმოშობილი ლირიკული ლექსის ფორმა, რომელსაც მკაცრად განსაზღვრული სალექსო საზომი ჰქონდა. თემატურად ელეგიები მრავალფეროვანი იყო. მათ საგმირო, სასიყვარულო, ფილოსოფიურ თუ ზნეობრივ თემებზე ქმნიდნენ. მოგვიანებით რომში ელევია ძირითადად სიყვარულის თემაზე შექმნილ ლირიკულ ნაწარმოებს დაერქვა.

**ბრილი** – თხზულებას ან მის ცალკეულ ნაწილებს წამდგრებული ციტატა, ანდაზა, აფორიზმი და მისთანა. მისი დანიშნულებაა მკითხველს ყურადღება გაუმახვილოს ნაწარმოების ან მისი ნაწილის დედაზრზე, ავტორისეულ ჩანაფიქრზე. ეპიგრაფს ხშირად იყენებდა ილია ჭავჭავაძე.

**ბრილი** – მხატვრული განსაზღვრება, ტროპის სახე.

**ბრილი** – ლიტერატურული ან თეატრალური ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი, სადაც მოკლედ გადმოცემულია მოქმედ პირთა შემდგომი ბედი ან განხილულია ნაწარმოების ზნეობრივი და ფილოსოფიური ასპექტები. თეატრალურ დრამაში ეს არის დასკვნითი მონოლოგი – მიმართვა მაყურებლისადმი ნაწარმოების შინაარსის შეჯამების, ახსნის, სწავლების მიზნით.

**ბრილი** – სინამდვილის ასახვა თხრობითი გზით, ავტორი უმეტესწილად არ ფიგურირებს.

**ბრილი** – ითარგმნება, როგორც ნარკვევი, ცდა ან „ვწონი“. ლიტერატურული, ლიტერატურული კრიტიკისა და პუბლიცისტიკის ფანრი; არსებობს სხვადასხვა ხასიათის ესე: სამეცნიერო, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური, ბიოგრაფიული, ბელეტრისტული... ფანრული თავისებურებაა კომპოზიციური თავისუფლება, მკვეთრად გამოხატული ავტორისეული ინდივიდუალობა, სუბიექტივიზმი, საუბრის ფორმა, ზოგჯერ პოლემიკური ხასიათის თხრობა.

**ბრილი** – ფანტასტიკურ ამბავზე აგებული, ჯადოსნური შინაარსის თხრობითი ნაწარმოები, რომელიც დაკავშირებულია სინამდვილესთან იდეით, თემატიკით, მოტივებით, სიუჟეტით, ენობრივი თავისებურებით, ეროვნული კოლორიტით. ზღაპარი არის პროზაულიც და პოეზიურიც. იგი ეპოსის ერთ-ერთი ფანრია, მას უახლოვდება თქმულება.

**ბრილი** – მხატვრულ ლიტერატურაში, დედააზრი ლიტერატურული ნაწარმოებისა, რომელიც მის შინაარსს ანუსრიებს და იდეურ-ემოციურ მთლიანობად აქცევს, ნაწარმოების ძირითად იდეაზე მიუთითებს. ისინი განუყოფელ კავშირშია, ხანდახან ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ იგივეობას არ წარმოადგენს.

**ბრილი** – ხალხური სიტყვიერების ერთ-ერთი უძველესი ფანრი, უპირატესად რეალისტური მოთხრობა გარდასულ ამბავზე, ზოგჯერ შეთხზული ამბავიც უძველესად, ადგილად.

გვხვდება როგორც პროზაულ, ისე ლექსითი და შერეული სახით. პროზაული თქმულება გადმოცემასა და ლეგენდას უკავშირდება. ქართულ ფოლკლორში თქმულებათა დიდი ნაწილი ისტორიული ხასიათისაა.

**ბრილი-პარაბოლი** – ლირიკულ-ეპიკური ფანრის ნაწარმოები, ზნეობრივ დამრიგებლური ხასიათის თხზულება. მისი გმირები უმეტესად არიან ცხოველები, მცენარეები, საგნები, მაგრამ იგულისხმებიან ადამიანები.

**ბრილი** – მხატვრულ ნაწარმოებში განსახიერებული მსოფლმხედველობის ძირითადი, არსებითი პრინციპი. „იდეა“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ცნებას, წარმოდგენას, რომელიც ასახავს სინამდვილეს ადამიანის ცნობიერებაში და გამოხატავს ადამიანის დამოკიდებულებას გარე სამყაროსადმი.

**ბრილი** – მეტყველების რიტმულ-მელოდიური წყობა, ხმის აწვევ-დაწვევა წარმოქმნისა, ან კიდევ: წარმოქმნის მანერა, რაც მთქმელის გრძობას გამოხატავს.

**ბრილი** – ითარგმნება როგორც მოჩვენებობა, თვალთმაქცობა. თავზაიანობით შენიღბული დაცინვა, დამცინავი გადაკვირთ ნათქვამი.

**ბრილი** – 1. უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი; რაიმე ამბის, ვისიმე ან რისამე ნაკლის სასაცილო, კომიკური სახით წარმოდგენა. 2. ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებში: მხატვრული ხერხი – რისამე კომიკურად, სასაცილოდ გამოხატვა.

**ბრილი** – კონფლიქტებისა და ბრძოლის ასახვა მხატვრულ ნაწარმოებში.

**ბრილი** – ითარგმნება როგორც მხიარული ბრბოს სიმღერა. დრამატული ნაწარმოები, რომელშიც პერსონაჟთა ხასიათები გამჭვალულია კომიზმით.

**ბრილი** (ლიტერატურული ნაწარმოების) – მოიცავს მხატვრული ნაწარმოების თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, რითმის, რიტმის, სტროფის, ჩანართი ეპიზოდების, სიტყვიერი გამოსახვის ყველა მხატვრული საშუალების მიზანმიმართულ, მოტივირებულ, ურთიერთშეფარებულ განლაგებას.

**ბრილი** – ითარგმნება როგორც სიტყვასიტყვით წასაკითხი ტექსტი. ზემოქმედებების თხრობითი ფანრი. საფუძვლად უდევს ზღაპრული, სასწაულებრივი ამბავი ან ფანტასტიკური იერსახე. მასში შეიძლება ასახული იყოს ნარსული, თანამედროვეობა და მომავალიც. თემატურად: რელიგიური, ისტორიული, გეოგრაფიული, საყოფაცხოვრებო ლეგენდები. თანამედროვე გაგებით ლეგენდას უწოდებენ ნაწარმოებს (განურჩევლად ფანრისა), რომელშიც მხატვრული გამოხატვა იმყარება გმირულ, ფანტასტიკურ ამბავს.

**ბრილი** – ლირიკული ნაწარმოები. რიტმულად და ინტონაციურად მოწესრიგებული მეტყველება, რომელიც ეწინააღმდეგება პოსოდიული ბუნების შესაბამისად განსაზღვრული ლექსთწყობის კანონებზე დამყარებული. ახასიათებს რიტმი, რითმა (არსებობს არითმული) და სალექსო ზომა (ზოგჯერ დარღვეულია ეს კანონზომიერება).

**ბრილი** – ლიტერატურული გვარი (აერთიანებს ლექსსა და ლირიკულ პოემას). წარმოდგება საკრავის სახელისგან. მასში გადმოცემულია ავტორის განცდები.

**ბრილი** (პოეტური თვითნებობა) – პოეტური, მხატვრული ხერხი, როდესაც მკაფიო პოეტური გამომსახველობის მიზნით ირღვევა ლოგიკურ-აზრობრივი, გრამატიკული ან სტილისტური ნორმა. ამ საფუძველზე შექმნილი სახე მინც ინარჩუნებს მხატვრულობას, ემოციურობას.

**ბრილი** – ეპიკური ფანრის პუბლიცისტიკური ნაწარმოები. იმ პირთა ჩანაწერები, რომელნიც წარსულ ამბავთა მონაწილენი თუ თვითმხილველნი იყვნენ. თხრობის ფორმითა და ასახული მასალის მონოდებით უახლოვდება დღიურს.

**ბრილი** (ე.წ. მოკლე შედარება) – მხატვრული გამოსახვის სტილისტიკური ხერხი/ტროპის სახე. პოეტურად შესაძლებელს, დასაშვებს, ასოციაციებითა თუ კონტრასტით, ანალოგიებით წარმოსადგენს ეყარება ან აგებულია სიტყვათა გადატანით მნიშვნელობაზე.

**ბრილი** – ფანტასტიკური, ხალხური თქმულება ქვეყნის გაჩენის, სიცოცხლის წარმოშობის, ბუნების ძალთა, ღმერთების და გმირების მოქმედების შესახებ. რაც ხასიათდება კონკრეტული პერსონიფიკაციითა და გასულიერებით.

**ბრილი** – საშუალო ზომის ეპიკური ნაწარმოები; ხასიათდება თემატური მრავალფეროვნებით. შუალედური ადგილი უჭირავს ნოველასა და რომანს შორის; გამოიკვეთა XIX საუკუნეში.

**ბრილი** – მხატვრული ნაწარმოების მოქმედი პირის ვრცელი სიტყვაა, რომლითაც პერსონაჟი მიმართავს თავის თავს, სხვა მოქმედ პირებს ან მაყურებელს. მასში გადმოცემულია გმირის სულიერი განწყობილება. მასში იხსენება პერსონაჟის სულიერი სამყარო, მისი ხასიათი, ზოგჯერ მოქმედების განვითარების ქარვა.

**ბრილი** – სიტყვასიტყვით ნიშნავს მოქმედებას. კონკრეტულობის მოვლენების სქემა სიუჟეტში.

**ბრილი** (სალიტერატურო) ენა – ენის სტილისტიკური სახესხვაობა (შედარებით მეცნიერების ენასთან, პუბლიცისტიკის ენასთან, საქმიანი ქალაქების ენასთან, სალაპარაკო ენასთან და სხვ.), ან მხატვრული ლიტერატურის ფორმა.

**ბრილი** – იერსახე, ასახვის სპეციფიკური ფორმა; პირობითი რეალობა, სადაც ზოგადი გამომჟღავნებელია ინდივიდუალურის თავისებურებასა და განუმეორებლობაში, და რომელიც განსაზღვრება შემოქმედის მსოფლმხედველობით, ესთეტიკური იდეალით, შემოქმედებითი ნიჭითა და უნარით.

**ბრილი** – (ახალი მოთხრობა იტალიურად) მცირე მოცულობის ეპიკური ფანრი, რომელიც ეყარება თხრობის ხერხს და პროზის ფორმით წარმოსახავს ადამიანის ცხოვრების ერთ ეპიზოდს, ერთ მომენტს, ერთ ასპექტს. მისთვის დამახასიათებელია მარტივი სიუჟეტი, პერსონაჟთა უკიდურესი სიმძირე.

**ბრილი** – ხელოვნების ფანრი, რომელშიც ბუნების სურათთა ასახული. იგი ფრანგული სიტყვაა, სიტყვასიტყვით ნიშნავს ბუნების ხედს, ადგილმდებარეობის გამოსახულებას. სხვაგვარად, პეიზაჟი არის ბუნების სახეების პლასტიკური გამოსახვა.

**ბრილი** – გამოთქმა, რომელიც აღწერით გადმოსცემს სხვა გამოთქმის ან სიტყვის აზრს. ზოგჯერ გამოიყენება როგორც გათანამედროვეებული, განიარსებული ტექსტის აღმნიშვნელი ტერმინი.

**ბრილი** – ეპიკური, დრამატული და ლირიკულ-ეპიკური ფანრის თხზულებათა მოქმედი პირი. ლირიკაში, სადაც პოეტის სუბიექტური განცდებითა გამოხატული, პერსონაჟს ცვლის ლირიკული გმირი. „პერსონაჟი“, როგორც მოქმედების სუბიექტის აღმნიშვნელი ტერმინი, უპირისპირდება „ლირიკული გმირის“ ცნებას, რომელიც განცდის სუბიექტს აღნიშნავს.

**ბრილი** – დიალოგებზე აწყობილი დრამატული ნაწარმოები, როგორც წესი, კლასიკური სტილის, შექმნილი თეატრალური დადგმისთვის.

**ბრილი** – მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, რომელსაც გააჩნია რიტმი, ასევე, უმეტესად – რითმა და მეტრი (ზომა).



ქართული ენა და ლიტერატურა როგორც სოციალური კომუნიკაციის ერთ-ერთი სახე

პოეზია – მხატვრული ლიტერატურის უძველესი ლექსად დაწერილი მრავალი თავისაგან შემდგარი ეპიკური, ან ლირიკული ხასიათის ნაწარმოები.
პროზა (ლიტერატურული) – პერსონაჟის გარემოების გადმოცემა.
პროზა – მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, რომელიც განსხვავდება მეორე ძირითადი ფორმის – პოეზიისაგან მხატვრული მეტყველების ორგანიზაციით.
პროზა – ლიტერატურული, თეატრალური და მუსიკალური-სცენური ნაწარმოების შესავალი ნაწილი. ლიტერატურულ პროზაში, როგორც წესი, მოთხრობლია იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც მოტივირებულია ნაწარმოების ძირითადი მოქმედებით, წინ უსწრებს მას ან განმარტებულია ავტორის მხატვრული ჩანაფიქრი და ესთეტიკური კრედი.
ქანდაკე – ხელოვნების რომელიმე დარგის ნაწარმოებია ისტორიულად ჩამოყალიბებული ნაწარმოები, რომელიც გამოირჩევა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სტილური ნიშნებით, თემატიკით, გამომსახველობითი საშუალებებით და ა.შ.
რამბლანტი – დრამატული ნაწარმოების ავტორის შენიშვნა (ჩვეულებრივ, ინერგა ფრჩხილებში).
რამბლანტი – პოეტის მიერ შეგნებით თუ უნებლიეთ სხვა მხატვრული ნაწარმოებებიდან აღებული, ნასესხები ფრაზები, მხატვრული კონსტრუქციები, რიტმულ-სინტაქსური ფორმები, რომლებიც მკითხველში ინვესტორულ ასოციაციებს და ხელს უწყობენ ნაწარმოების აღქმას. რამბლანტი ცხველებით თითქმის ყველა ცნობილ პოეტთან.
რიტმი – ერთი და იმავე ან მსგავსი ბგერების კანონზომიერი გამეორება, ბგერათა შეწყობა-შეთანხმება ტაქტებში უკანასკნელი მახვილიანი მარცვლიდან მოყოლებული; ზოგჯერ ბგერების ასეთი შეწყობა-შეთანხმება ტაქტებს შიგნით. რიტმში შეიძლება მეორედოდეს ცალკეული ბგერები, სიტყვები ან სიტყვათა ჯგუფები, იშვიათ შემთხვევაში კი – ტაქტები.
რიტმი – თანაზომიერი, პერიოდული მონაცვლეობა რაიმე ელემენტებისა. რიტმს დინამიური ხელოვნების დარგებში ერთიანი შინაგანი კანონები აქვს, განსხვავებულია რიტმის შემქმნელი მატერია. მხატვრული დროს თავსაზრისით რიტმი ერთ-ერთი ესთეტიკური მახასიათებელია ხელოვნების ნაწარმოებისა.
რამბლანტი – დიდი მოცულობის თხრობითი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელსაც ახასიათებს რთული სიუჟეტი.
სატირა – სინამდვილის მხატვრული ასახვის ისეთი ფორმა, როდესაც გამანადგურებელი სიცილით ამხილებენ ასახულის უარყოფით, მანკიერ ბუნებას. კომიკურის სახე. იუმორისაგან განსხვავებით სატირა სიცილით ამხილებს, ბოლომდე „ამიშველებს“ თავის ობიექტს, აშკარავეს შეუთავსებლობას გარეგან და შინაგან მხარეებს შორის, ფორმასა და შინაარსს შორის.

სიმბოლო – ჩვეულებრივ სიმბოლოს ნიშანს უწოდებენ. ამ ტერმინს ორგვარი პირველადი მნიშვნელობა აქვს: სიმბოლო არის ნიშანი და ამავე დროს სიმბოლური სიტყვა-სიტყვით ნიშნავს შეერთებულს („სიმბოლო“ – ბერძნ. ვაერთებ). სიმბოლურ სახეში ან საგანში, როგორც სხვა საგნის ნიშანში, მართლაც შეერთებულია თვით საგნის პირველადი მნიშვნელობასთან სხვა მნიშვნელობა.
სიუჟეტი – მხატვრული ნაწარმოების აგების საშუალება, ფაბულის მხატვრული განვითარება.
სტროფი – ლექსის ნაწილი, ორი ან მეტი გარითმული სტრიქონის ერთიანობა.
ტაქტი – სალექსო სტრიქონი.
ტრაგედია – ითარგმნება როგორც თხის სიმღერა. ტრაგედიაში ნაჩვენებია ტრაგიკული კოლიზია, ამაღლებული ტრაგიკული ხასიათები, შეურიგებელი ბრძოლა და დადებითი გმირის კატასტროფული მარცხი.
ტროპი – ენობრივი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალება, რომლის ერთ-ერთი ზუსტი განსაზღვრა ჯერ კიდევ ძველ რომში გაჩნდა. იგი ეკუთვნის რომაელ ორატორს მარკუს ფაბიუს კვინტილიანს: „ტროპი სიტყვის საკუთარი მნიშვნელობის ისეთი შეცვლაა, როდესაც ხდება მნიშვნელობის გამდიდრება“.
ფაბულა – სიტყვათა სიტყვით ნიშნავს ამბავს, არაკს. ფაბულას განიხილავენ, როგორც მხატვრული ნაწარმოების ჩონჩხს.
შაირი – 4, 8 და 16 სალექსო საზომით დაწერილი ოთხტაქტიანი სტროფი. განიხილავენ დაბალ და მაღალ შაირს, განსაკუთრებით, ეს მაშინ, როცა ვსაუბრობთ რუსთველურ (იგივე 16-მარცვლიანი) შაირზე.
შედარება – ტროპის ერთ-ერთი სახე. შედარების დროს ორი სხვადასხვა საგანი ან მოვლენა შეფასებულია ერთმანეთთან არა სრული მსგავსების, არამედ ერთ-ერთი რომელიმე მსგავსების საფუძველზე, მოვლენების მხატვრული გამოსახვის მიზნით.
ციტატა – რაიმე ტექსტიდან უცვლელად, სიტყვა-სიტყვით მოყვანილი ადგილი, ნაწილი.
სატოპიანი ტექსტი (ფიგურალური სიტყვა-თქმანი) – იდენტური მატარებელი სიტყვა, წინადადება.
ჰიმი – საზეიმო სიმღერა, რომელიც აქვს და ადიდებს ვინმეს ან რაიმეს, ან აფასებს პოზიტიურად.
ჰიპერბოლა – ტროპის ისეთი სახე, რომელსაც საგანსა თუ მოვლენას გაზვიადებულად წარმოადგენს. ეს სიტყვა ბერძნული ნაწარმოებისაა და გადაჭარბებას, გაზვიადებას ნიშნავს.

უხსოვრი აზრები

რით განსხვავდება სასკოლო სხოვრება იაკონიაში

იაკონურ განათლების სისტემაში სწავლის წლები ასე იყოფა: 6 წელი – დაწყებითი სკოლა, 3 წელი – არასრული საშუალო სკოლა; 3 წელი – საშუალო სკოლა, 4 წელი – უნივერსიტეტი. ბევრი კერძო სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ექვსწლიან პროგრამას, რომელიც მოიცავს როგორც არასრულ საშუალო, ასევე საშუალო განათლებას. სპეციალიზებული სკოლებს ხუთწლიანი პროგრამები აქვთ (ორწლიანი დაწყებითი და სამწლიანი საშუალო სკოლა). უმაღლესი განათლების მისაღებად ორი ვარიანტია: კოლეჯი (2 წელი) და უნივერსიტეტი (4 წელი). დაწყებითი სკოლა და არასრული საშუალო სკოლა, ანუ 9-წლიანი სწავლება საავსებელია.
იაკონური ბავშვები სკოლაში 6 წლის ასაკში შედიან. კლასში, დაახლოებით, 28 მოსწავლეა. მასწავლებლების 70%, დაწყებით კლასებში, ყველა საგანს ასწავლის.
12 წლიდან ბავშვები არასრულ საშუალო სკოლაში გადადიან. ამ დროს მოსწავლეების 5-7% კერძო სკოლაში განაგრძობს სწავლას. მშობლები კერძო სკოლას, ძირითადად, უკეთესი აკადემიური განათლების გამო ირჩევენ. სკოლაში ისწავლება მათემატიკა, მეცნიერება, სოციალური მეცნიერებები, ხელოვნობა, ზნეობა, საოჯახო ეკონომიკა, იაკონური ენა, კალიგრაფია, პოეზია. 2020 წლის შემდეგ, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინგლისური ენის, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და პროგრამირების სწავლებას, რადგან იაკონელები მიიჩნევენ, რომ მათი შვილები მზად უნდა შეხვდნენ XXI საუკუნის გამოწვევებს.
სტუდენტების ერთი მეოთხედი კერძო

უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს.
იაკონური სკოლები თითქოს დიდად არ განსხვავდება სხვა ქვეყნების სასწავლო დაწესებულებებისგან, თუმცა რამდენიმე ფაქტორს, უდავოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს.
ჯერ – ძეგვი, მერ – ცოდნა
პირველი სამი წლის განმავლობაში იაკონური სკოლების მთავარი მიზანია ბავშვებისთვის ქვეყნის წესების სწავლება და ადამიანური თვისებების დახვეწა. ამ ეტაპზე, სკოლის მიზანი არ არის ცოდნის დონის ამაღლება. 10 წლამდე ბავშვებს გამოცდებით და მათთან დაკავშირებული დაძაბულობით კი არ თრგუნავენ, არამედ ასწავლიან ადამიანების პატივისცემას, ცხოველებთან და ბუნებასთან სათუთ მოპყრობას, უყალიბებენ ისეთ თვისებებს, როგორცაა სამართლიანობა, თავშეკავება, გამბედაობა. სასკოლო საგნებიდან დიდი ყურადღება ეთმობა ხელოვნებას. ასწავლიან, რომ ადამიანი უნდა იყოს დიდსულოვანი, გულისხმიერი, უნდა შეეძლოს თანაგრძნობა. დიდ ყურადღებას აქცევენ ქვეყნისა და ეტიკეტს.
სასწავლო წელი 1 აპრილს იწყება
1 აპრილი ემთხვევა ქვეყანაში ულამაზეს ბუნებრივ მოვლენას – ალუბლის ყვავილობას. ასეთ მშვენიერ, ფერადოვან გარემოში ბავშვებს სკოლაში სიარულიც ეხალისებათ. გარდა ამისა, იაკონიაში მიიჩნევენ, რომ აუცილებელია არდადეგები იმდენ ხანს გრძელდებოდეს, რომ ბავშვი მენტალურად მზად იყოს დატვირთული მუშაობისთვის. იაკონიაში 3 სემესტრია: 1 აპრილი – 20 ივლინი; 1 სექტემბერი – 20 დეკემბერი; 7 იანვარი – 25 მარტი. ზაფხულში ბავშვებს 6-კვირიანი არდადეგები აქვთ, ზამთარში და გაზაფხულზე – 2-2-კვირიანი.
მოსწავლეები სკოლას თავად ალაგავენ
იაკონურ სკოლებში დამლაგებლები არ ჰყავთ. მოსწავლეები ალაგებენ თავიანთ საკლასო ოთახებს, დერეფნებს, ბიბლიოთეკას, სამზარეულოს და ტუალეტებსაც კი. ბავშვები პატარა ჯგუფებად იყოფიან და თითოეულ ჯგუფს თავისი საქმე აქვს, რაც წლის განმავლობაში რამდენჯერმე იცვლება. იაკონიაში მიაჩნიათ, რომ ეს აქტივობა მოსწავლეებს გუნდურ მუშაობას მიაჩვენებს და გარემოს გაფრთხილებას ასწავლის. გარდა ამისა, როცა თავად გვიან, ხეხვენ, წმენდენ, სწავლობენ როგორც საკუთარი, ასევე სხვისი – ნებისმიერი სოციალური ჯგუფის – შრომის პატივისცემას.
ურთიერთობები საუზმისას ყალიბდება
საუზმის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მოსწავლეები ჯანსაღ და დაბალანსებულ საკვებს იღებენ და კლასში ერთად ჭამენ. საუზმის მაღალკვალიფიციური მზარეულები ამზადებენ ჯანდაცვის პროფესიონალთა ზედამხედველობით. ბავშვები მასწავლებელთან ერთად საუზმობენ საკლასო ოთახში. ეს პოზიტიურ ურთიერთობას აყალიბებს მასწავლებლებსა და ბავშვებს შორის.
პოპულარულია კლასბარები აქტივობები და სემინარები
იაკონიაში საღამოობით ხშირად შეხვედებით ბავშვებს, ჯგუფებად რომ ბრუნდებიან შინ დამატებითი მეცადინეობიდან. ბავშვები სკოლაში, დღისით, 8 საათს ატარებენ, მაგრამ არდადეგებზე და შაბათ-კვირასაც მეცადინეობენ. რა გასაკვირია, რომ იაკონურ სკოლაში კლასში მეორე წელს არავინ რჩება. განსაკუთრებით პოპულარულია საღამოს მეცადინეობები იმ ჯგუფებში, ვინც გამოცდებისთვის ემზადება.



მოსწავლეები იაკონურ კალიგრაფიასა და პოეზიას სწავლობენ
სხვა აუცილებელი საგნების გარდა, კალიგრაფიის სწავლა ბავშვებს საკუთარი კულტურისა და საუკუნოვანი ტრადიციებისადმი პატივისცემას უნერგავს. იაკონელებისთვის კალიგრაფია არანაკლებ პოპულარული ხელოვნებაა, ვიდრე მხატვრობა. გარდა ამისა, ბავშვები სწავლობენ ჰაიკუს – პოეზიის ფორმას, სადაც 3-4 სტრიქონიანი ლექსები ღრმა გრძობებს აღძრავს მკითხველში.
თითქმის ყველა მოსწავლეს სკოლის ფორმა აცვია
ზოგიერთ სკოლას თავისი ფორმა აქვს. მაგრამ ტრადიციული სასკოლო ფორმები ბიჭებისთვის სამხედრო სტილისაა, გოგონებისთვის – საზღვაო. ფორმების ტარება მიზნად ისახავს ბავშვებს შორის სოციალური ბარიერის მოშლას. გარდა ამისა, ბავშვებს ერთობის შეგრძნებას უყალიბებს.
გაკვეთილება დასწავლა – 99,99%
ძნელია, დაასახელოთ ქვეყანა, რომელიც ასეთი სტატისტიკით დაიკვეხნის. იაკონიაში ბავშვები სკოლას არ აცდენენ და გაკვეთილებზე არ აგვიანებენ. გამოკითხვისას მოსწავლეების 91%-მა განაცხადა, რომ არასდროს ეკიდებიან უგულისყურად მასწავლებელს და ყოველთვის ასრულებენ მის მოთხოვნებს.
ერთადერთი ტესტი განსაზღვრავს მოსწავლის მომავალს
იაკონური მოსწავლეები ძალიან მნიშვნელოვან გამოცდას აბარებენ სკოლის დამთავრებისას. ეს განსაზღვრავს მათ მომავალს. მოსწავლეს შეუძლია, აირჩიოს ერთი კოლეჯი და დადგინდეს ქულა უნდა მიიღოს. თუ ვერ ჩააბარა, კოლეჯში ვეღარ შევა. ამ გამოცდისთვის მზადების პერიოდს „საგამოცდო ჯოჯოხეთს“ უძახიან, რადგან კონკურსი ძალიან მაღალია – მხოლოდ 75%-ს შეუძლია სწავლის გაგრძელება სკოლის შემდეგ.
კოლეჯის წლები იაკონური სტუდენტებისთვის საუკეთესო „არდადეგებია“
მიჩნეულია, რომ „საგამოცდო ჯოჯოხეთის“ გავლის შემდეგ იაკონელებისთვის ცხოვრების საუკეთესო პერიოდი იწყება. ხანდახან ამ პერიოდს იაკონიაში საუცხოო „შეგებულებას“ უძახიან, სამსახურის დაწყებამდე. ამ ჩამონათვალში ბევრი რამაა საყურადღებო. იქნებ, ამგვარი დეტალები ქმნის სწორედ გამოჩენულ საზოგადოებას, სადაც მორალური ღირებულებები ფუჭი სიტყვები არ არის.





# მთავარია ცოდნა, რაზე და როგორ გაამახვილოთ ყურადღება, რომელ აზრს მისცეთ გასაქვანი და რომელი შეაჩეროთ

მზიკო დალაქიშვილი, ფსიქოლოგი, ზავშვთა და ზრდასრულთა ფსიქოთერაპევტი

პანდემიით შექმნილი ქაოსი, შიში და სირთულეები სამყაროს მთავარი გამოწვევაა – ყველა სფეროს, დარგისა და მიმართულებების, ყველანაირი სოციალური ჯგუფის, სქესის თუ ასაკისთვის თავსატეხად ქცეული რეალობა. ამ რეალობაში კი, განსაკუთრებით რთულ სიტუაციაში მოწყვლადი ჯგუფები აღმოჩნდნენ. ამ წერილის აღქმისათვის არც ერთი კონკრეტულ ჯგუფს არ მიიკუთვნება, წერილის ავტორი ქალაქს საკუთარ თავზე ზრუნვისკენ მოუწოდებს, მით უფრო, მასწავლებლებს და მშობლებს, რომლებიც დიდი დატვირთვის ქვეშ არიან ონლაინ სწავლების პირობებში და ისედაც რთულ ყოველდღიურობას კიდევ ერთი და ძალიან მნიშვნელოვანი საზრუნავი დაემატა – როგორც თავი გაართვიან სწავლა-სწავლების პროცესს. ეს ყველაფერი კი, საბოლოო ჯამში, კიდევ მეტ დროს, ენერჯიასა და შრომას მოითხოვს. ამიტომ, ქალაქის ნაწილმა საკუთარ თავზე ზრუნვა გვერდზე გადადო და მხოლოდ მოსწავლეებისა და მშობლების განათლებაზე ზრუნვით შემოიფარგლა. მზიკო დალაქიშვილი კი, მათ ახსენებს, რომ: „ახლა არის დრო იზრუნოთ საკუთარ თავზე ისე, როგორც არასდროს. საკუთარ თავზე ზრუნვა არ არის ფუფუნება, არც შეუძლებელია. ეს აუცილებელია! მთავარია ცოდნა, რაზე და როგორ გაამახვილოთ ყურადღება. რომელ აზრს მისცეთ გასაქვანი და რომელი შეაჩეროთ.“

## ● მთავარია ფსიქოლოგის რჩევებს, როგორ შეიძლება ასეთ რთულ მდგომარეობაშიც კი, შეიქმნათ პოზიტიური განწყობა და დრო პრიორიტეტების მიხედვით გადაინაწილოთ.

- ✓ მიაქციეთ ყურადღება, როგორ იწყებთ დღეს. ადრიაინი დილა დაუთმეთ მხოლოდ საკუთარ თავს.
- ✓ გაიღვიძეთ პირველმა, დაიწყეთ დღე პოზიტიურად, შეიქმნით განწყობა. ფოკუსირდით მთავარ მიზანზე, რაც თქვენი ცხოვრების აზრია, ენერჯის წყაროა. რამდენიმე წუთი დაუთმეთ ფიქრს, რისთვის ცხოვრობთ, რა გამოძრავებთ. კარგი იქნება, თუ დღეს რომელიმე პოზიტიური აფორმაციით დაიწყებთ, რაც თქვენი დღის გეგმას ეხმიანება, მაგალითად: დღეს მე მზად ვარ, გავაკეთო ყველა ჩემი საქმე დადებითი ენერჯით, გაცეც და მივიღო მხოლოდ პოზიტიური ენერჯია, მივიღო მაქსიმალური სიამოვნება საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობით, საყვარელი საქმის კეთებით, მოვასწრო ყველაფერი და დღე დავასრულო მაღლიერების განცდით.
- ✓ დილა დაიწყეთ საყვარელი რიტუალით, იქნება ეს ყავის დაღვება, ყვავილების მორწყვა თუ უბრალოდ ჰაერზე გასეირნება. შეარჩიეთ მუსიკა დილის ფონად, რაც შეესაბამება თქვენი დღის გეგმების რიტმსა და სტილს. დაისახეთ პატარა-პატარა მიზნები, რომელთა შესრულებაც მიგიყვანთ დიდ მიზანამდე, დღის ბოლოს იტყვი, მე ეს შევქმენი! კარგი იქნება, თუ დილის რიტუალის დროს, თქვენი დღის მიზნებს და გეგმებს ჩამოწერთ.
- ✓ დაგეგმეთ დღე, სადაც დრო გადანაწილებული იქნება პრიორიტეტების მიხედვით, როგორც ვალდებულებებზე, ისე სურვილებზე. მთავარი მათ შორის ბალანსის პოვნაა!
- ✓ ეცადეთ, იყოთ მომენტიში, იცხოვროთ აწყობის მაქსიმალური შეგრძნებით. რას ნიშნავს ეს? გრძობდეთ რას აკეთებთ, ყველა შენი შეგრძნების ორგანო იყოს ღია, მიიღოს ინფორმაცია და შეიგრძნოს მომენტი, მთელი თავისი შინაარსითა და მოცემულობით.
- ✓ არ იმოქმედოთ მექანიკურად, დასწავლილი ვალდებულებების პირნათლად შესრულებისთვის, არამედ იგრძენით ის, რასაც აკეთებთ, გონებით და შეგრძნებებით. ესაუბრეთ საკუთარ შინაგან მეს: „მე ვიცი რას ვაკეთებ, როგორ და რისთვის“, ასევე, „ვიცი რა მსიამოვნებს ამ პროცესში და რა არ მომწონს, მე ეს ვიცი, ვაცნობიერებ და ვაკეთებ პასუხისმგებლობით, რაც კმაყოფილების განცდას მანიჭებს“, „ჩემი ვალდებულებ-

- ბაც ჩემი არჩევანია“ – ამაზე იფიქრეთ, ეს მართლაც ასეა! ამის აღიარება ძალას მოგცემთ.
- ✓ მე ვარ პასუხისმგებელი ჩემს ცხოვრებაზე, ვზრუნავ როგორც საკუთარ თავზე, ისე სხვებზე! ისიც ვიცი, როგორ გადავანალიზო ენერჯია, რომ ის, რაც მსიამოვნებს და ის, რაც ჩემი ცხოვრების ვალდებულებაა (ჩემივე არჩევანი), ერთმანეთთან ბალანსში იყოს.
- ✓ თუ გყავთ ბავშვები, გაამახვილეთ ყურადღება დილის რიტუალზე. თქვენი დილის რიტუალის შემდეგ, მათ შეეგებეთ სიყვარულით, გამოხატეთ ემოცია ისე, თითქოს პირველად დაინახეთ ისინი და თქვენთვის მათი დანახვა დღესასწაულია. თქვენი განწყობა გადაამდებია, ამავე განწყობით ბავშვის დღეც დაიწყება ბედნიერად, კარგი ამბების მოლოდინით. ბავშვს გაუჩნდება განცდა - „მე მნიშვნელოვანი ვარ!“
- ✓ დღე დაწყებული მაღლიერებით, საყვარელი ადამიანების დანახვის ბედნიერებით, უკვე სიხარულია, დაიჭირეთ ეს მომენტი, დაიწყეთ დღე ამ ენერჯით!
- ✓ დღის განმავლობაში, ხშირად შეცვალეთ სიტუაცია. როგორ? ჩვენ ხომ სულ სახლში ვართ?! შეძლებისდაგვარად, მრავალფეროვანი გახადეთ გარემო, თქვენ ყველაზე უკეთ იცით რა გიქმნით დადებით განწყობას: იქნება ეს სახლის განათება, მუსიკა, თუ ტანსაცმელი (ჩაიცვით ლამაზად, შეგიძლიათ რამდენჯერმე გამოიცვალოთ კიდევ), ყურადღება მიიქციეთ ჭურჭელს, საიდანაც მიირთმევთ, იყოს ფერადი (მოგონებებით სავსე), ისეთი, როგორც თქვენ მოგწონთ და გეხალისებათ, გახსენებთ ვინმეს ან რამეს. ხშირად გადაადგილდეთ ავეჯი. ყველაფერი ეს შეგინარჩუნებთ განწყობას და ცხოვრების ხალისს. გახსოვდეთ, რომ ცვალებადია ყველაფერი, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ სიტუაციაში ამის აღქმა გართულებულია, ყველაზე მეტად საკუთარი განწყობებით თუ შეძლებთ მის გამდიდრებას!
- ✓ ხშირად უთხარით თქვენს თავს: „მერე რა, რომ სახლში ვარ, მე ვარ ყველგან! ჩემი ლამაზი ცხოვრებით, მოთხოვნილებებით, მიზნებით... მე ყველგან და ყოველთვის ვზრუნავ ჩემს თავზე. არ ველოდები სხვას, იზრუნოს ჩემზე!“
- ✓ დაურეკეთ, დღის განმავლობაში, ერთ ადამიანს მაინც, ვინც იცით, რომ დადებით ენერჯიას მოგცემთ, ასევე, მოი-

- კითხეთ ახლობლები, ვისაც იცით, რომ სჭირდება და გაახარებს თქვენი ხარი.
- ✓ საქმიანი დღის შუალედში, გამოითავისუფლეთ 15 წუთი, ეს დრო იქნება მხოლოდ თქვენთვის, განმარტოვდით ან გამოიყენეთ ეს დრო ისე, როგორც გინდათ, ნებისმიერი რამ, რაც ოდნავ მაინც მოგანიჭებთ თუნდაც სულ პატარა სიხარულს, სიამოვნებას.
- ✓ საღამო, ვახშმის პერიოდი, გაატარეთ ოჯახის წევრებთან ერთად, გააზიარეთ დღის შთაბეჭდილებები, გამოიყენეთ ეს მომენტი ენერჯიის აღსადგენად, თქვენ ხომ უახლოესი ადამიანების გარემოცვაში ხართ!
- ✓ თუ გყავთ ბავშვები, მნიშვნელოვანია, მათი დაძინების შემდეგაც დაიტოვოთ დროის მოკლე მონაკვეთი განმარტოებისთვის. დღის ბოლოს ამბობთ ორ, ძალიან მნიშვნელოვან ნინადადებს – მადლობის და თანაგრძნობის გამოხატვებს: „მე დღეს ვეცადე გამეკეთებინა ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმი.“ თუ რამე არ მომწონს ჩემს საქციელში ან ვთვლი, რომ შემეშალა, ვერ მოვასწარი, არ მეყო მოთმინება, არ ვიყავი საკმარისად ნაყოფიერი, გავიხსენებ სიტყვას – არა უშავს – გათენდება ხვალინდელი დღე ახალი შესაძლებლობებისთვის! და მეორე: მადლობა უთხარით საკუთარ თავს გამძლეობისთვის, მონდომებისთვის, იყავით მიმტყველებელი. „მადლობელი ვარ დღევანდელი დღისთვის!“ – მესმის და ვპატიობ საკუთარ თავს შეცდომებს.
- ✓ გაიხსენეთ, რამდენ რამეზე გინევთ ერთდროულად ზრუნვა და ფიქრი, აპატიეთ და გაამხნევეთ საკუთარ თავი, ეს მომენტი მნიშვნელოვანია, ასევე, მიუტყვევთ სხვებსაც შეცდომები – შეილღებს, ქმარს, მშობლებს, მეგობრებს...
- ✓ გაიხსენეთ ყველა ის ადამიანი, ვის გამოც გიხარიათ ცხოვრება, ვინც გენატრებათ, გამოხატეთ მადლიერება და სიყვარული, რომ თქვენ ისინი გყავთ. თქვენ ხართ ის, რასაც ფიქრობთ, თქვენს გარშემოც მოვლენები ვითარდება თქვენი აზრების გავლენით. დღის დასასრული, ასეთი ფიქრებითა და ემოციით, სასიამოვნო დილას გაგიტენებთ!
- ✓ აირჩიეთ ფიქრი, გააზიარეთ ემოცია, შეიცვალა ქცევაც!

